სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 28 მარტი 2001 №54 (1327) | ფასი 50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიგეთ!

გუშინ „ეროვნულზე“ საქართველოს ნაკრებმა ახალი პროექტორების შუქზე ივარჯიშა

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი

საქართველო — რუმინეთი

28 მარტი. თბილისი. ეროვნული. 20 საათი

გაბრაზდით!

რუმინელთაგან დიდი წყენაც გვახსოვს: ბუქარესტი, 1996, 24 აპრილი. რუმინეთი 5:0 საქართველო

ხუთი წლის წინანდელ ამხანაგურ მატჩში გაშვებული ხუთი გოლი, დიახაც, მწარედ გვახსოვს.

იმ ხუთიდან სამის გამტანი ვიორელ მოლდოვანიც არ დაგვვიწყებია.

ვიორელის მოგვარე იოანმა გუშინ კიდევ სამით შეგვარცხვინა — მისმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ხურცილავას გუნდს სამი უპასუხო გაუტანა.

რუმინეთის ეროვნული ნაკრებიც დღეს საქართველოს უპირველესი გუნდის დამარცხებას და დიდ ფეხბურთს დანატრებული ქართველი გულშემატკივრის გულისტკენას აპირებს.

რომ არ გვეწყინოს, დიდი ფეხბურთი რომ არ მოგვენატროს, გაბრაზდით და მოიგეთ!

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

გუშინ შოთა და არჩილ არველაძეებმა საგანგებო სანაკრებო კოსტუმებიც მოირგეს

მშვიდობაში!

ბადრი ქეთლაძის ფოტო

მეგობრის ახალგაზრდული ჩემპიონატი

UNDER-21 Championship

შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

სლოვენია 1:2 იუგოსლავია
0:1, 0:2 ბრნოვიჩი (21, 82), 1:2 კორენი (87)

შვეიცარია 6:0 ლუქსემბურგი
1:0 კაბანასი (14), 2:0 გრეკო (18), 3:0 ფიგიქი (24), 4:0 ზანი (35), 5:0, 6:0 კაბანასი (45, 90)

II ჯგუფი

პორტუგალია 3:0 პოლანდია
1:0 მონტეირუ (50), 2:0, 3:0 პაულუ კოშტა (61, 90)

კვიპროსი 3:1 ესტონეთი
0:1 ტანუანმა (5), 1:1 კოვაზისი (10), 2:1 ფოსკარიდუსი (16), 3:1 კიტოსი (55)

III ჯგუფი

გულგარეთი 2:0 ჩრდ. ირლანდია
1:0 გენევი (4), 2:0 იანევი (27)

ჩეხეთი 3:0 დანია
1:0 ვიჩუშეკი (5), 2:0, 3:0 ბაროში (39, 59)

IV ჯგუფი

სლოვაკეთი 5:0 აზერბაიჯანი
1:0 სედლაკი (3), 2:0 პანეკი (46), 3:0 ვიტეკი (56), 4:0 კრეიცი (64), 5:0 ბედნარი (87)

მაკედონია 1:4 თურქეთი
0:1 ტაიფუნი (27), 0:2 პუსეინი (38), 0:3, 0:4 გიოქთანი (44, 54), 1:4 პანდევი (75)

V ჯგუფი

ბელარუსი 1:0 ნორვეგია
1:0 კუტუზოვი (75)

უელსი 0:3 უკრაინა
0:1 მონარიოვი (11), 0:2 ოლექსიენკო (15), 0:3 მონარიოვი (20)

პოლონეთი 1:1 სლოვენეთი
1:0 სმოლარეკი (43), 1:1 პაკობიანი (50)

VII ჯგუფი

ავსტრია 0:2 ისრაელი
0:1 ზანდბერგი (15), 0:2 სარფატი (49 პ)

VIII ჯგუფი

იტალია 1:0 ლიტვა
1:0 დონატი (24)

საქართველო 0:3 რუმინეთი
0:1 ჩერნატი (12), 0:2 ნიაგა (40), 0:3 დრაგანი (74)

IX ჯგუფი

საბერძნეთი 2:0 გერმანია
1:0 კირიაზისი (28პ), 2:0 ამანატიდისი (89)

ალბანეთი 0:1 ინგლისი
0:1 გრინინგი (69პ)

ინგლისი

II დივიზიონი

გადადებული მატჩები

ბერი 1:0 სტოკი
პიტერბორო 1:1 ლუთონი
კემბრიჯი 1:0 ოქსფორდი
ნოთსი 0:1 პორტვეილი
ბრისტოლი 2:2 ოლდჰემი
სუინდონი 0:1 რედინგი
უიკომბი 0:0 ფილუოლი

III დივიზიონი

გადადებული მატჩები

პარტლეუოლი 1:0 ლინკოლნი
პალი 3:2 როჩდეილი
ფალიფაქსი 0:0 კარლაილი
ექსეტერი 1:1 დარლინგტონი

საფრანგეთი

II დივიზიონი.

XXX ტური

ნანსი 0:3 ფონტენელეი
კრეტეი 1:1 ანჟერი
ბენიონი 1:1 სოფო
ლავალი 0:2 ფატორუ
ლორიანი 4:0 კანი
ნიცა 1:1 ლე ფანი
ნიმი 1:0 აიაჩო
ვალენსიენი 0:1 ლე ავრი
ბოვე — ფარტიგი
გადადო

ბელგია

თასის 1/2 ფინალი

I მატჩი

ბეერსხოტი 1:2 ფალენტინი

შოტლანდია

გადადებული მატჩი

აბერდინი 3:3 სენტ ჯონსტონი

მოიგეთ!

ბადრი ჯეიელანის ფოტო

ზაზა ჯანაშიას 1999 წლის 28 აპრილს ნორვეგიელებთან თამაშის მერე „ეროვნულზე" ბურთი აღარ გაუგორებია

— თამაში სამკვდრო-სასიცოცხლო იქნება. ზვალ გამოჩნდება ჩვენი ფეხბურთის ძალა. თუ რამეს წარმოვადგენთ, რუმინელებს უნდა მოვუგოთ — ეს გუშინ ერთმა ქომაგმა თქვა და ყველა იქ მყოფმა თავი დაუკრა. ჩვენც ვეთანხმებით.

ისეთი პრინციპული მატჩი, როგორიც დღეს საქართველოს ნაკრებს აქვს, ალბათ, არ გადავაჭარბებთ, აქამდე არ ჰქონია. შეიძლება რამდენიმე უწინდელი თამაშის გახსენება, მაგრამ, ვფიქრობ, დაგვეთანხმებით, მე-8 შესარჩევი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენებურთათვის რუმინელთა ძლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოგების შემთხვევაში ჯგუფში მეორეობის შანსიც გაათმაგდება და რეალური იქნება.

დღეს დიდი ბრძოლა ელით ქართველ ფეხბურთელებს. რუბიკონის პირას დგანან. გადალახავენ? ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი გვაქვს. ფეხბურთელები იმედიანად არიან, თავადაც კარგად უწყიან, რამდენი რამაა დღევანდელ თამაშზე, უფრო სწორად, სამ ქულაზე დამოკიდებული.

რუმინელებთან სადღეისო მატჩის წინ საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ქომაგთა ინტერესი გაითვალისწინა და ფიფას დამატებით რამდენიმე ათასი ბილეთის დაბეჭდვა გამოსთხოვა.

ამ მატჩისთვის ეროვნული გუნდიც ისეთ პირობებში ემზადებოდა, საპრეტენზიო არავის არაფერი ჰქონია.

ნაკრები გუშინ, გამთენიისას ჩამოფრინდა გერმანიიდან, სადაც ექვსი დღე დაჰყო და საბურთალოზე „მონოპოლში" დაბინავდა. სასტუმროში მხოლოდ გუნდი ბინადრობდა და კარიც ყველასათვის დაკეტილი იყო.

ნაკრებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევა მიიღო.

გუშინვე ტყუპებმა, შოთა და არჩილ არველაძეებმა მოდების სალონ „მაკა ასათიანში" ის კოსტიუმები მოირგეს, მაკა ასათიანმა ნაკრები რომ გამოაწყო.

რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა გუნდი ეროვნულ სტადიონზე რამდენიმე ათასი ქომაგის თანდასწრებით, მატჩის დაწყების დროს, 8 საათიდან ავარჯიშეს.

საათნახევარში თითქმის ყველაფერი მოესწრო: მოთრევა, კვატრატი, ერთი-ორი კომბინაციისა და სტანდარტული მდგომარეობების დამუშავება, „ორკარა"... რევაზ ძოძუაშვილმა მცველები, კალაძე, კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ქემოკლიძე, ხიზანიშვილი, თოდუა, სილაგაძე მოედნის ერთ ნახევარზე გაიხმო და დაცვიდან ბურთის გონივრულად „ატანაში" ამეცადინა, იქით ნახევარმცველ-თავდამსხმელები დავით ყიფიანის ხელში იყვნენ. სულ 19 ფეხბურთელი, რომელთაგან ერთ-ერთი სადღეისო მატჩის განაცხადში ვერ მოხვდება.

ერთი ვარჯიშის შემხედვარე ძნელია, რომელიმე ფეხბურთელის მზადყოფნაზე რაიმე თქვა, თუმცა კი, ისეთი არაფერი ჩანდა, რომელიმეზე გეთქვა, ფორმაში არ არისო.

სტადიონის გაზონი ნორმალური იყო, არც ბიჭებს უთქვამთ რამე. იდეალური, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ თამაში შეიძლება. საგულისხმო და, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანიც ერთია — ახალდამონტაჟებული განათება, რომელიც ყველას თვალს ჭრის. ეს ფეხბურთელებსაც რამდენჯერმე დასცდათ. პროჟექტორებს ცოტა გასწორება სჭირდება და მატჩამდე თუ მოესწრება, კარგი იქნება.

სხვა კი... ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა. ნაკრებში ყველა ჯანმრთელია და ოპტიმისტურად განწყობილი. ფეხბურთელები და მწვრთნელები ბრძოლას გვპირდებიან, რუმინელებთან ომი გვექნებაო.

მაშ, იომეთ. ითამაშეთ საქართველოსთვის; ითამაშეთ ქართული ფეხბურთის წარუმატებლობით გულმოკლული ქომაგებისთვის; ითამაშეთ და გადალახეთ რუბიკონი; ითამაშეთ და გაგვახარეთ; მოიგეთ!

მორაგბეების მაგალითი გაქვთ. მიბაძეთ მათ.

ძნელი იქნება, მაგრამ...

მოიგეთ!

ქობა ინასარიძე

დიდი, დაჭრილი მხეცის პრ გვეშინია

რას უდრის მონდომება ჰლუს დადებითი ემოციას?

ბადრი ჯეიელანის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი სახელდახელო პრესკონფერენციაზე

დაძაბული და ყურადღებიანი სახეები...

ორი მწვრთნელი და მათი შეგირდები, ეროვნულის ბალახს რომ თელავდნენ...

ხალხით სავსე დასავლეთ ტრიბუნის ერთ-ერთი სექტორი, ფეხბურთელების ყოველ ფინტსა და დარტყმას ყიჟინით რომ ეხმიანებოდა...

მართალი გითხრათ, აღარც კი გვახსოვს, საქართველოს ნაკრების ვარჯიშს ამდენი ხალხი როდის დაესწრო. გულშემატკივარი ხომ ინტერესის საზომია და გუშინ საღამოს კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ როგორ ელის ხალხი რუმინელებთან დღევანდელ შესარჩევ მატჩს.

„შინდისფერმა ლეგიონმა" დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშა და იმედით დატოვა ეროვნული სტადიონი.

მაინც რას ფიქრობენ ჩვენი მწვრთნელ-ფეხბურთელები?

რევაზ ძოძუაშვილი: დიდ და დაჭრილ მხეცს ვეთამაშებით. რუმინეთი ძალიან სერიოზული გუნდია, თუმცა ამ უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის ჩვენც კარგად მოვემზადებით. ინფორმაციაც საკმაოდ გვქონდა და მეტოქეც დაწვრილებით შევისწავლეთ. მოკლედ, უნდა მოვიგოთ.

საბედნიეროდ, დაშავებული არავინ გვყავს. ბიჭები ჯანზე არიან და თავისი სიძლიერის დამტკიცებას შეეცდებიან.

— გულშემატკივრებს რას ეტყოდით?

— რას და, თავისი დადებითი ემოცია ჩვენს მონდომებას შეუერთოს. ამით კიდევ უფრო გავძლიერდებით!

გიორგი ნემსაძე: ბრძოლისთვის მზად ვართ. გერმანიაში ჩინებული შეკრება გავიარეთ, კარგად მოვემზადეთ და კმაყოფილები გახლავართ. ერთი ეგ არის, წვიმიანი ამინდები დაემთხვა და მძიმე მინდორმა ცოტა ხელი შეგვიშალა. თუმც, ეს წვრილმანია.

— ოთხშაბათს თბილისშიც რომ იწვიმოს?

— ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. თამაში თამაშია.

— რუმინელებზეც ვთქვათ.

— ვფიქრობ, რუმინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. პატარ-პატარა ხარვეზები, ცხადია, აქვთ, მაგრამ მთლიანობაში მაინც ძლიერები არიან.

— და რას უნდა ველოდოთ?

— აბა, რა გითხრათ. საერთოდ, პროგნოზები არ მეხერხება. ჩვენ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ და ვნახოთ...

გიორგი ძინძლაძე: ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და სამი ქულა მოვიპოვოთ. ისეთი სატურნირო მდგომარეობა გვაქვს, თუ ჯგუფიდან გასვლა გვინდა, აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

— გიო, „დერბიში" ორთვენახევარია აღარ გითამაშია. ტრავმის მიზეზით უკრაინასთან ამხანაგური მატჩიც გამოტოვე. ახლა როგორ გრძნობ თავს?

— სასურველ ფორმაში ვარ თუ არა, არ ვიცი. მატჩისას გამოჩნდება.

— ფიქრობ, თავიდანვე გითამაშებენ?

— ძნელი სათქმელია. ყველაფერს მწვრთნელები გადაწყვეტენ.

კახა კალაძე: კარგად მოვემზადეთ. იცით მთავარი რა არის? გუნდი ერთსულოვანია, ბიჭები ერთმანეთის მხარდაჭერას ვგრძნობთ და ეს ამოცანას გვიადვილებს. მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ. რუმინეთი გამოცდილი მებრძოლია, მაგრამ არც ჩვენ გვყავს ნაკლები გუნდი.

— კახა, „მილანში" მთავარი მწვრთნელი შეიცვალა. ძაკერონი ყოველთვის ძირითადში გითამაშებდა. ბალდინი როგორი თვალით გიყურებს?

— ყველაფერი ნორმალურადაა. ჩვეულებრისამებრ ვვარჯიშობ და ამ კვირას, ალბათ, „ლაციოს" წინააღმდეგაც ვითამაშებ.

— „მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი უახლოეს ხანში დიდ საკადრო ცვლილებებს აპირებს. ამბობენ, ანდრეი შევჩენკოს გაყიდვაც უნდათო...

— არ დაიჯერო. შევჩენკო მილანელთა კერპია და მის გაყიდვაზე საუბარი არასერიოზულია. საქმე ისაა, რომ ბერლუსკონი ახლა საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება და შევჩენკოს გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმაც, ალბათ მისი პროგრამის შემადგენელია.

— კარგი. მაშინ ეს გვითხარი, რიგალდოს ყიდვას მართლა აპირებენ?

— დიახ. რიგალდოს, ჟარდელის და რუი კოშტას გადმობირებაზე სერიოზულად საუბრობენ. საერთოდ, დიდი გეგმები აქვთ და იმედია ახალ სეზონს მნიშვნელოვნად გაძლიერებულები შევხვდებით.

ლევან კობიაშვილი: გერმანული შეკრებით ძალიან კმაყოფილები ვართ. მომზადებისთვის იდეალური პირობები გვქონდა. ახლა ყველას ერთი აზრი გვიტრიალებს თავში — რუმინეთს მოვუგოთ და ჩვენი ქომაგები გავახაროთ.

— მოწინააღმდეგეზე რას გვეტყვი?

— ძალიან საშიში მეტოქეა და ფრთხილად უნდა ვეთამაშოთ. თუმც ღირსებებთან ერთად ნაკლიც არა ერთი აქვთ და ვეცდებით გამოვიყენოთ.

— თავად როგორ ფორმაში ხარ?

— თავს ჩინებულად ვგრძნობ. ბუნდესლიგაში ხომ ახლა გახურებული სეზონია და მიც თითქოს ფორმა არ დამეწუნება.

ალექსანდრე რესვიაშვილი: შეიძლება ასე ვთქვათ: გუნდში საყოველთაო მობილიზაციაა გამოცხადებული. განწყობაც საბრძოლოა. ვეცდებით, მოვიგოთ და ქომაგებიც გავახაროთ და ევინისამდე, ანუ იტალიასთან მომავალ შესარჩევ მატჩამდე ჯგუფში მეორე ადგილზე დავმკვიდრდეთ. დანარჩენი მერე ვნახოთ...

ქობა ინასარიძე
სოლომონ გულისაშვილი

ბადრი ჯეიელანის ფოტო

კახა კალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას აკლვას ხურცილავა საქართველოს, რა მისცა მოლდოვანმა რუმინეთს?

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი

საქართველო 0:3 რუმინეთი

27 მარტი. თბილისი. შევარდენი. 15 საათი. 1 000 მაყურებელი

0:1 ჩერნატი (12), 0:2 ნიაგა (40), 0:3 დრაგანი (74)

საქართველო: ლომაია, საჯაია, ხიზანეიშვილი, აბრამიძე, წერეთელი, გილაური (ლ. გვაზავა 46), იმედაძე, კაკაშვილი (კორღალიძე 35), ჯაკობია (ბურდული 68), წიტაიშვილი, ლ. მელქაძე
სათადარიგონი: მერლანი; რუხაძე, ჩიკვაძე, დიღმელაშვილი
რუმინეთი: დოლია, კროიტორუ, რატი, ჯონია, მაფტეი, მარინკაუ, პატრასკუ, დრაგანი (კ. ჩობოტარიუ 76), იაკობი (დიკა 64), ჩერნატი, ნიაგა (გავრილესკუ 86)
სათადარიგონი: სტანშია; ჩანუ, ვ. მუნტიანუ
გაფრთხილება: წიტაიშვილი (34), ხიზანეიშვილი (37), რატი (45), გვაზავა (60), ჩობოტარიუ (79)
მაყურებლები: ალან ფრილანდი; უილსონ ირვინი, რობერტ ჯონსტონი; კოლინ ბარდი (ყველა შოტლანდია)
ფიფას კრებისარი: იოსუფ ნამოლლუ (თურქეთი)
ჯარიმა: 12-14; **კუთხური:** 5-1; **დარტყმა:** 7-5; **კარში დარტყმა:** 2-5; **თამაშგარე:** 1-3

მამუკა კვანტალიანი

ბადრი ჯეიელაძის ფოტო

რუმინელთა კიევის დინამოელ ფლორიან ჩერნატის შეშერებელი ქართველთაგან არავინ იყო

„უკვე გადადგომაზე ვფიქრობ, იცით თქვენ, ხურცილავა მშიშარა კაცი არ არის, მაგრამ მერწმუნეთ, ყველაფერში დამნაშავე მე არ ვარ“ — ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პრესკონფერენციაზე საკმაოდ დაბნეული მამგვეცხადა.

სამი ოფიციალური მატჩი და ზედიზედ სამი წაგება. ლიტვაში დამარცხების მერე მწვრთნელებმა აღიარეს, ჩვენ შევცდითო. იტალიაში წაგება, ვთქვათ, ფეხბურთელებს დავაბრალოთ, თუმც მე ასე არ ვფიქრობ. გუშინდელ მატჩზე ვინ იკისრებს პასუხისმგებლობას?

ყველაფერში დამნაშავე ხურცილავა მართლაც არ არის. განსაკუთრებით მაშინ, როცა ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ჩინოსანი გისაყვედურებს, რამდენი ლეგიონერი გამოგიძახნია, ფული იხარჯებაო. მწვრთნელი მაშინაც არ ტყუის, როცა სავარჯიშოდ მოედანს ვერ უშოვიან და იძოდრომისკენ მიუთითებენ, წადი, გუნდი იქ მოგაბადე, იქაც მინდორიაო.

მაგრამ მწვრთნელი იმაშია დამნაშავე, რომ სათქმელს საჯაროდ არ ამბობს და ქომაგს რეალობას უმალავს. ასე, აქამდე არაერთ ქართველ მწვრთნელს გაუკეთებია და, რა თქმა უნდა, სიკეთეც ვერ მოუმეია.

როცა ტაქტიკა არ გივარგა, ტექნიკა დაგეწუნება, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მეტოქეს ჩამოუვარდები, მაშინ მწვრთნელია დამნაშავე და ფიქრიც არ არის საჭირო, უნდა გადადგეს.

გადადგეს იმიტომ კი არა, რომ ზედიზედ სამი თამაში წააგო, არამედ იმიტომ, რომ ნაკრების რეგრესი აშკარაა. თავის მართლება ყველას შეუძლია — ტრავმები, მოთამაშეთა არადამაკმაყოფილებელი მომზადება და ასე შემდეგ. კი მაგრამ, რატომ იწვევს მწვრთნელი იმ ფეხბურთელებს, რომელთა მომზადების დონე არ აკმაყოფილებს? პასუხი ჩვენთვის უცნობია და არც ხურცილავას დაუკონკრეტებია იგი.

ეს კი გვითხრა, ამათ უფრო ვენდობიო. ვისაც ენდეთ, იმ მოთამაშეებმა წააგეს ერთი, ორი, სამი... ესეც დამატებითი სამი შეცდომა, რომელიც უნდობლობის საბაბს იძლევა.

ექვსი მცველით და ოთხი თავდამსხმელით დაიწყო გუშინდელი მატჩი საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა. დიდი ხნის უთამაშებელი წერეთელი, დაბნეული გილაური, ფორმადაკარგული, ცოტა მოსუქებული ხიზანეიშვილი. მთავარი სიურპრიზი — გამთამაშებლად მოვლენილი კაკაშვილი და ახლახან ტრავმამოშუშებული, ფაქტობრივად უვარჯიშებელი ჯაკობია.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა ხუთით ნაკლებმა დაიწყო თამაში და წააგებდა აბა, ციდან ვარსკვლავებს მოკრეფდა?!

სად გაგონილა ხიზანეიშვილის საყრდენობა და საერთოდაც, საკვირველია, რას აკეთებს ეს ბიჭი „სპარტაკში“. ვინ მოიგონა კაკაშვილის გამთამაშებლობა, როცა ის მცველია და ჩამშლელი. კაკაშვილი გილაურის ადგილზე რომ გაემწესებინათ, უკანა ხაზიც გაცილებით შეკრული იქნებოდა და პირველ ტაიმში ორ გოლსაც არ გავუშვებდით.

კარგად გვესმის, მწვრთნელი ნახევარდაცვის გარეშე რომ არ გაიყვანდა სათამაშოდ გუნდს. ალბათ, ხურცილავამ თითოეულს თავისი წილი დავალებაც აუხსნა, მაგრამ მათ მწვრთნელის დავალება არ ესმით. ვერ შეასრულეს ლიტვაში, იტალიაში და ვერც თბილისში. ერთხელ, მეორედ, მესამედ... საკუთარ შეცდომებზე მაინც უნდა სწავლობდეს კაცი. ვერ ასრულებენ დავალებას, ესე იგი ან სათანადოდ არ უხსნიან, ანაც ფეხბურთელები არ ვარგიან. სიმართლის დიდი მარცვალია ორივე მოსაზრებაში, რაც აშკარად მწვრთნელთა სახიანოდ ღაღადებს.

„ჩვენი გუნდიდან საჯაიას, წერეთელს და აბრამიძეს გამოვარჩევდით“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე ხურცილავამ. ცოტა უცნაურიც კია, გამოარჩიო იმ გუნდის მცველები, სამი გოლი რომ გაუშვეს.

მოდით, ცოტა ხნით რუმინელთა თავკაცსაც მოვუსმინოთ — „თქვენს გუნდზე ყველა ინფორმაცია გვქონდა. ამასწინდელი საქართველო — უკრაინის ამხანაგური მატჩის ვიდეოფირიც კი საფუძვლიანად შევისწავლეთ.“

თავს იწონებდა იოან მოლდოვანი, რუმინეთის ეროვნულ გუნდს ბოლო ორ წელიწადში რვა ფეხბურთელი მოვუმზადეთო. ეჭვიც არ მეპარება, სულ მცირე, წელიწადში სამ-ოთხ მოთამაშეს კიდევ მიაშველებს ძირითად გუნდს.

ხურცილავას განკარგულებაში კი ეს ინფორმაციები იყო — ოდინდელი საქართველო — რუმინეთის (18-წლამდელების) ჩანაწერი და შარშანდელი იტალია — რუმინეთის ვიდეოფირი.

ნუთუ ახალგაზრდულის თავკაცებს არ გასჩენიათ რუმინეთში გამგზავრების სურვილი, რათა იტალიელებთან მათ პაექრობას დაჰკვირვებოდნენ? ალბათ, სურვილი დიდი იყო, მაგრამ... ისევ სიჩუმე, ისევ ჯოხის საკუთარ მხრებზე გადამტვრევა. იმიტომ უნდა გადადგეს ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი, რომ მომავალშიც ამგვარად გაგრძელდება ყველაფერი და ეს აუტანელი იქნება.

არც ერთი წინასწარ დამუშავებული კომბინაცია, არანაირი იმპროვიზაცია... დაკარგა საკუთარ ნახევარზე, უფრო მეტიც, საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს გილაურმა ბურთი. შეტევა დატრიალდა ქართველთა კართან და სტუმართა კაპიტანმა ჩერნატმ, რომლის ფასიც გუშინ „შევარდენზე“ არავინ გვინახავს, ისეთი დაბრახუნა, ორი ლომაიაც ვერ გაუმკლავდებოდა.

ისევ დაკარგა გილაურმა ბურთი და ამჯერად მეკარესთან პირისპირ გასულმა ნიაგამ ორამდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა.

ბადრი ჯეიელაძის ფოტო

ქართველთა იმედი ყვავილივით დაჭკნა

დაკარგა კორღალიძემ ბურთი და უკვე დრაგანი აღმოჩნდა ლომაიასთან პირისპირ. მესამედ შეირხა ქართველთა კარის ბადე.

მართალია, რუმინელები ყველაფერში ჯაბნიდნენ მეტოქეს — ათლეტურად, ფიზიკურად, სისწრაფეში, ტაქტიკურად, მაგრამ განსაკუთრებულიც არაფერი გაუკეთებიათ. უბრალოდ, ჩვენებურთა მიამიტური შეცდომები გამოიყენეს.

აქამდე გვეგონა, ტანმაღალი გუნდი გვყავდა — წერეთელი, აბრამიძე, იმედაძე... რუმინელები რომ გენახათ, ჩვენებურებს ჯუჯებად მონათლავდით და თამაშის მსვლელობისას გვეშინოდა კიდეც, ჩვენი ბიჭებისთვის შემთხვევით ფეხი არ დაედგათ და არ გაესრისათ.

ვითომ სამართლიანი იქნება, ქართველთა მიერ შექმნილი ერრიოდ მომენტი გავიხსენოთ? არა მგონია, უმჯობესი იქნება, ჩვენი ფეხბურთელები გუშინდელი მატჩის ვიდეოფირს თუ დაატრიალებენ და ჩერნატისა და მისი თანაგუნდელების ქმედებებიდან რამეს შეითვისებენ.

უბედურება ის კი არ არის, რუმინეთმა. რომ მოგვიგო, არც ის, ზედიზედ სამი თამაში რომ წააგო ხურცილავას გუნდმა, უბედურება ის გახლავთ, ქართული ფეხბურთის საერთაშორისო იმიჯი რომ ,ითელება და მომავლის პერსპექტივა კვდება.

ბადრი ჯეიელაძის ფოტო

უშედეგოდ დასრულებული ქართველთა იშვიათი შეტევათაგანი

ბადრი ჯეიელაძის ფოტო

ამ დარტყმისას გიორგი ლომაიას კარი გოლს გადაურჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
ევროპა

VIII ჯგუფი **ჩვენი მეტოქეები** VIII ჯგუფი

იტალია — ლიტვა

დღეს ტრიესტში იტალიის ნაკრები ლიტვას დისკვალიფიკაციამოხდილ ფრანჩესკო ტოტისთან ერთად მასპინძლობს — შაბათს „სკუადრა აძურას“ რუმინეთში გამარჯვების შემდეგ, ცხადია, ეჭვი აღარაფერში ეპარება, მით უფრო, როდესაც საქმე ლიტვას ეხება.

ახლა ნახეთ: ამჟამად მეორე ადგილზე მყოფი უნგრეთი დღეს ისვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ თბილისში, საქართველოსა და რუმინეთს შორის რომელიმე გუნდმა გაიმარჯვა, იტალიელებს ცხრილში შვიდი ქულით დაწინაურების შანსი აქვთ, ხოლო თუ ქართველებმა და რუმინელებმა ფრედ ითამაშეს, მაშინ ჯოვანი ტრაპატონის გუნდი სულაც რვა ქულით გაიჭრება წინ. წინ კი სამი მატჩი რჩებათ, სამად სამი შეხვედრა, საქართველოში, ლიტვაში და შინ უნგრეთთან. ერთი სიტყვით, იტალიამ დღეს უნდა მოიგოს და ჯგუფიდან გასულია.

საამისოდ, როგორც ამბობენ, ტრაპატონი დემეტრიო ალბერტინის ნაცვლად მოედანზე ტოტის გაშვებას აპირებს, ხოლო სტეფანო ფიორე უფრო უკან, მოედნის სიღრმისკენ დაიწევს. კიდევ, ტრაპატონის ერთი ცვლილება ჰქონია ჩაფიქრებული — მარცხენა მცველად ჯუზეპე პანკაროს ნაცვლად ფრანჩესკო კოკოს თამაშს აპირებს, რადგან კოკოს პანკაროსთან შედარებით უფრო მეტად უჭირავს შეტევაზე თვალი.

მოგეხსენებათ, ბოლო დროს, მეტადრე კი მას მერე, რაც ევროპულ საკლუბო შეჯიბრებებს იტალიური გუნდი აღარ შემორჩა, ხალხმა ამ ქვეყანაში გაღრმავებულ საფეხბურთო კრიზისზე დაიწყო ლაპარაკი. ამის პასუხად მცველი ალესანდრო ნესტა ამბობს:

„გულშემატკივართა გულის მოგება დიდი საქმეა, ეს კი ჩვენ რუმინეთში გამარჯვებით შევძელით. ტრაპატონის ხელმძღვანელობით „სკუადრა აძურამ“ საუკეთესო თამაში ბუქარესტში აჩვენა, ახლა, ლიტვას ვხვდებით და მხოლოდ გამარჯვება არ გვაწყობს. ჩვენ სანახაობრივი ფეხბურთიც უნდა ვაჩვენოთ, ხალხს კლასის ნახვა სჭირდება. საერთოდ კი, ამ შესარჩევ ჯგუფებში იტალიის ნაკრებზე ძლიერ ვერ გუნდს ვხედავ“.

ბუქარესტში გამარჯვებით გამოწვეული იტალიური სიხარული დიდწილად ალესანდრო დელ პიეროს დამსახურება გახლავთ. არადა, დელ პიერომ ამ შეხვედრაში მხოლოდ იმიტომ ითამაშა, რომ კრისტიან ვიერი და მარკო დელვეკიო ფეხს იტკიებდნენ. გარდა ამისა, გეხსომებათ, ორივე გოლი დელ პიეროს იუვენტუსელმა პარტნიორმა ფილიპო ინძაგიმ გაიტანა.

ისევ ნესტა: „დელ პიერო კვლავ ძველებურად თამაშობს. ამას ჩვეულებრივ ვარჯიშებზეც ნათლად ვხედავთ“.

და ლიტვა? ლიტვამ თამაში გამოასწორა, შაბათს უნგრეთიდან ხომ ქულა წაიღო. საამისოდ კი ლიტველთა მწვრთნელმა, ბენიამინას ზელკიავიჩუსმა გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი მიიწვია. ადრეც ვწერდით ბუდაპეშტში ნათამაშევი ფრის შემდეგ მის ნათქვამს:

„ჩვენ ახალ გუნდს ვქმნით და ვფიქრობ, საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებულ უნგრელებს სიურპრიზიც მოვუწყვეთ. ვინ იფიქრებდა, რომ ლიტვა ბუდაპეშტში ქულას მოიპოვებდა“.

პაპუნა ძედია

საბარაულო შემადგენლობები:

იტალია: ბუფონი, კანავარო, ნესტა, მალდინი, ანმბროტა, ტომაზი, კოკო, ფიორე, ფ. ინძაგი, დელ პიერო

ლიტვა: სტაუჩე, შარბალიუნი, დედურა, გლუშაკასი, ფილიგდავიჩუსი, რაგანაუსკასი, რ. ფუტაუტასი, პოშკუსი, მორინასი, შემბერასი, მიკალიუნასი

იტალია	4	3	1	0	9:2	10
უნგრეთი	3	1	2	0	9:4	5
საქართველო	2	1	0	1	4:2	3
რუმინეთი	3	1	0	2	1:5	3
ლიტვა	4	0	1	3	2:12	1



სტეფანო ფიორე და ალესანდრო დელ პიერო

საფეხბურთო სამყაროს სლოვენიელებმა თავი ევრო-2000-ზე გააცნეს

I ჯგუფი

სლოვენია — იუგოსლავია
რუსეთი — ფარერები
შვეიცარია — ლუქსემბურგი

დღეს ლუბლიანაში სლოვენიელები იუგოსლავიელებს მასპინძლობენ. იქაური პოლიცია გაწამაწიანია, არეულობების ,ეშინია და უსაფრთხოების ზომებს აძლიერებს: „რთული საღამო გველის. საგანგებო ჯგუფები სტადიონსა და მის შემოგარენს დაიცავენ. სხვა სპეცნაწილები კი ქალაქის უბნებს გაკონტროლებენ“ — ამბობს ლიუბლიანის პოლიციის უფროსი დანიელ ჟერბეტი.

სავარაუდოდ, „ოლიმპიას“ 9 ათასიან სტადიონს რამდენიმე ათასი იუგოსლავიელი ფანი ეწვევა. ცნობილია, რომ ამ ქვეყნებს შორის მატჩების დროს სიტუაცია 1991 წლიდან დაიძაბა, მას შემდეგ, რაც სლოვენია პირველი გამოეყო გაერთიანებულ იუგოსლავიას. თუმცა, ერთიც სათქმელია, სლოვენიელი ქომაგები ყოველთვის კეთილგანწყობილნი არიან და იშვიათად ვინმეს თუ ეჩხუბებიან.

აი, იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელმა მატეა კეჟმანმა კი თავისი გულშემატკივარი გამოლანძღა, რომლებიც შაბათს შვეიცარიასთან ლამის მთელი მატჩის მანძილზე უსტვენდნენ საკუთარ გუნდს: „ასეთების წინაშე თამაშს ცარიელი ტრიბუნები მირჩევნია — განაცხადა კეჟმანმა — საშინელებაა მათი გინების მოსმენა. ზოგი „პარტიზანის“ მხარდამჭერ სიტყვებს ყვიროდა, ზოგი „ცრვენა ზვეზდასი“, ნაკრების გამხნევება კი არავის გახსენებია“.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მაყურებელთა უმრავლესობამ საკუთარ ჰიმნზე გამაყრუებელი სტვენა ატეხა: „ჰიმნი ფეხბურთელებსა და ქომაგებს ფრთებს უნდა ასხამდეს. იქ კი 30 ათასი ადამიანი უსტვენდა. თუ ცუდი ჰიმნი გვაქვს, გამოვცვალოთ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება“ — დაეთანხმა კეჟმანს იუგოსლავიელთა ლიდერი სავო მილოშევიჩი.

იუგოსლავიელი ფანები კი ამბობენ, რომ შვეიცარიასთან ფრემ მათ ნაკრებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ერთობ გაურთულა და სტვენაც ამის შედეგი იყო. ახლა, სლოვენიასთან შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მწვრთნელი მილოვან ჯორიჩი კი უსაზურ თამაშს ნახევარდაცვის ცუდ გარჯას აბრალებს: „მათ ვერაფრით მოახერხეს ნორმალური შეტევების ორგანიზება. შედეგად სინიშა მიხაილოვიჩს დაცვიდან უწევდა ყველაფრის დაწყება, რაც ფრიად ძნელი საქმეა“ — დასძენს ჯორიჩი.

სავო მილოშევიჩი კი სლოვენიელების განწყობას გაუბრაზებია. კატანეცის ბიჭებს უთქვამთ, ევრო 2000-ზე ნათამაშევი 3:3-ის გამო შური უნდა ვიძიოთო. გეხსომებათ, მაშინ სლოვენიელები 3:0 იგებდნენ, მოწინააღმდეგეს მიხაილოვიჩიც გაუძევეს, მაგრამ სავო მილოშევიჩის მინდორზე გასვლამ ბევრი რამ შეცვალა. სავოს ორი და დრულოვიჩის გოლებით ანგარიში გათანაბრდა. ეს იყო შარშან 13 ივნისს შარლერუაში. ახლა კი... „გავიგე ჩვენთან შეხვედრას მოუთმენლად ელიან და სამაგიეროს გადახდა სურთ — ამბობს მილოშევიჩი — ეს, ეტყობა, ხუმრობაა. მათ გაუმართლათ, მაშინ რომ არ წააგეს და იმ ფრით მთელი სიცოცხლე უნდა ამაყობდნენ. თუმცა, ასეთი განწყობა ჩვენთვის კიდევ ერთი წამახალისებელია ლუბლიანაში მოსაგებად“.

მასპინძლებს კი უფრო ჟელკო მილინოვიჩის დისკვალიფიკაცია აწუხებთ. მან რუსებთან მატჩში ყვითლები გადახარჯა. მილინოვიჩის ნაცვლად კატანეცმა ჭაბუკი მცველი გორან სანკოვიჩი გამოიძახა, თუმცა, მიიჩნევენ, რომ სანკოვიჩი თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

აი, ფარერელები ჩასულან თუ არა მოსკოვში, იქაური მაღაზიების ამბებს უკითხავთ. მერე ჯგუფური ვაჭრობაც მოუწყვიათ. განსაკუთრებით თურმე ვიდეოტექნიკა და ტანსაცმელი აინტერესებდათ. მეორე დილით კი „ლუჟნიკის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე უვარჯიშიათ. მათი მწვრთნელი, წარსულში დიდებული დანიელი ფეხბურთელი ალან სიმონსენი ჩინებულ განწყობაზე ყოფილა.

რუსებმა შაბათს, სლოვენიასთან უსახური მატჩის მერე ერთი დღე დაისვენეს, ორშაბათს და გუშინ კი „სპარტაკის“ ბაზაზე მსუბუქად წაივარჯიშეს. ფარერებთან მათ დაშავებული ალექსეი სმერტინი დააკლდებათ, სამაგიეროდ, დაემატებათ ესპანური „სელტას“ სასჯელმოხდილი ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოი.

სოლომონ გულისაუბილი

რუსეთი	3	2	1	0	5:1	7
სლოვენია	4	1	3	0	7:6	6
შვეიცარია	4	1	2	1	8:5	5
იუგოსლავია	2	1	1	0	3:1	4
ფარერები	3	1	1	1	5:7	4
ლუქსემბურგი	4	0	0	4	1:9	0

ევრო-2000-ის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი იუგოსლავია — სლოვენია იყო

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
ევროპა

II ჯგუფი

პორტუგალია — ჰოლანდია
კვიპროსი — ესტონეთი
ანდორა — ირლანდია

ტრავმამოშუშებული ედგარ დავიდსი (№8) ლუმს ფიგუს კვლავ შეეყრება

რა იცის ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა? მან ზუსტად იცის ერთი რამ: თუ დღეს ჰოლანდია პორტუგალიაში წააგებს, მისთვის მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატი, ფაქტობრივად, მსურულდება.

და, რა იცის პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა ანტონიო ოლივეირამ? მან ზუსტად იცის ის, რომ ოქტომბერში, როტერდამში ჰოლანდიელთა დამარცხებას (2:0) თუ დღეს მეორე გამარჯვებაც მოაყოლა, ფაქტობრივად, მსოფლიოს ჩემპიონატზეა.

ანტონიო ოლივეირას შეგირდები ოთხი თამაშიდან ათი ქულით, ექვსგუნდიან, ნომერ მეორე ჯგუფში ირლანდიელებს ორი ქულით უსწრებენ, ხოლო დღევანდელ მოწინააღმდეგეებს — სამით.

„დღეს ჩვენ წლის მთავარი თამაში გვაქვს. რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიმარჯვოთ და ამისთვის ᲨᲐᲓ ვართ“ — ამბობს ვან გაალი — „დამარცხების შემთხვევაში სხვათა იმედადღა ვრჩებით. მათ წარუმატებლობაზე ოცნებაღა დაგვრჩება ერთადერთ საქმედ“.

მოგეხსენებათ, ჰოლანდიელებმა შაბათს ანდორაში 5:0 გაიმარჯვეს.

ორივე გუნდს, პორტუგალიასა და ჰოლანდიას, განსაკუთრებით ძლიერი თავდასხმა ჰყავს. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მოგების მოსურნე ჰოლანდია თუ შემტევ ფეხბურთს აირჩევს, არაა გამორიცხული დაცვაში პრობლემები შეექმნას, მით უფრო, რომ პორტუგალიელთა წინა ხაზს მსოფლიოს უძვირესი მოთამაშე, ლუიშ ფიგუ აძლიერებს.

„პორტუგალია ანდორა არ არის“ — განაგრძობს ვან გაალი — ის ძლიერი და დაბალანსებული გუნდია, რომლის ყოველ წევრს თავისი კონკრეტული როლი აკისრია“.

სხვათა შორის, ჰოლანდიელთა ბანაკიდან გამოსულ ხმათა თანახმად, მწვრთნელმა, შესაძლოა, სასტარტო შემადგენლობაში პატრიკ კლუივერტს არავინ შეუწყვიტოს ანუ ერთი თავდამსხმელით ითამაშოს.

რაც შეეხება მასპინძელთა თავკაცს, ანტონიო ოლივეირას, იგი ნებისმიერ შემთხვევაში შეტევას აპირებს.

„ჰოლანდია დაცვისკენ მოწოდებული გუნდი არ არის“ — ამბობს ის — „მას მერე, რაც როტერდამში გავიმარჯვეთ, აშკარაა, რომ მათ ჩვენი დამარცხება სჭირდებათ. ერთი სიტყვით, უძნელესი თამაში გველის“.

თუ გახსოვთ, ანდორაში გამარჯვების შემდეგ ჰოლანდიელი ნახევარმცველის, ედგარ დავიდსის პორტუში თამაშის საქმე საეჭვო გახდა, დავიდსმა ფეხი იტკინა, მაგრამ ბოლო ცნობების თანახმად იუვენტუსელი გამოჯანმრთელდა და დღეს სრულ დატვირთვას გაუძლებს. ფორმაში არ არის პოლ ბოსველტი, თუმცა, ამბობენ, რომ ვან გაალი მას მაინც გაიყვანს მოედანზე, ხოლო მიხაელ რაიციგერი მარჯვენა მცველის ჩვეულ პოზიციას დაუბრუნდება და ლუიშ ფიგუს მეურვე გახდება.

სტუმართა გუნდში მარცხნივ ფილიპ კოკუს აქვს დაბევებული ადგილი. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ადგილი მათთვის ყველაზე მტკივნეულია, რადგან არტურ ნუმანი დაშავებულია. ამიტომაც, ჰოლანდიელებს ისევ და ისევ მხსნელად ყველა როლს მორგებული კოკუსი ეიმედებათ.

მასპინძლებს კი დაცვაში აქვთ პრობლემები. ინგლისში, კერძოდ „ევერტონში“ მოთამაშე აბელ შავიერი და სპორტინგელი ბეტო სევერო ხომ დაშავებულნი არიან.

პორტუგალიური პრესის თანახმად, ოლივერა მათ ნაცვლად გამოუცდელი ცენტრალური მცველის, ლიტოშ მაგალაეშის ნდობას აპირებს. მაგალაეში „ბოავიშტას“ ფეხბურთელია, რომელსაც ალბათ, „ლაციოს“ ვარსკვლავის, ფერნანდო კოუტუს მხარდამხარ მოუხდება თამაში.

სავარაუდო შემადგენლობები

პორტუგალია: კიმ, სეურეტარუ მაგალაეში, ფ. კოუტუ, ნორეგ, ბენტუ, მეირა, კოშტა, კონსეიესუ, ფიგუ პაულუტა

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური, კოკუ, ბოსველტი, ვან ბომელი, დავიდსი, ზენდენი, კლუივერტი, ოვერმარსი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

ანდორა, რომელმაც შაბათს ჰოლანდიას უმასპინძლა და 0:5 წააგო (თუმც მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა თავკაცის ლუის ვან გაალის ქება დაიმსახურა), დღეს ირლანდიის მასპინძელია და, სავარაუდოდ, მასთან წააგებს. ირლანდიელებს კი გამარჯვება სჭირდებათ. ისინი ხომ ჯგუფში მეორე ადგილზე არიან. ლიდერს, პორტუგალიას ორი ქულით ჩამორჩებიან, ხოლო პორტუგალია ჰოლანდიას მასპინძლობს. ასე რომ, სულ არაა გამორიცხული, ხვალ დილით ირლანდიელები ჯგუფის ლიდერად მოგვევლინონ.

რით ჩავიდა ირლანდია ანდორაში? მცირე უსიამოვნებით, რომელიც გუნდის კაპიტანმა და ლიდერმა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ცნობილმა ნახევარმცველმა როი კინმა გამოიწვია — კინმა თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის უფროსებს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს.

29 წლის ვარსკვლავმა განაცხადა: „კონკრეტულად არავის ვადანაშაულებ, მაგრამ იმ პირობების შემყურემ, რომელშიც კვიპროსთან თამაშის წინ ფედერაციამ გვამყოფა, კინალამ ცოლ-შვილთან წასვლა გადავწყვიტე. წინა ორშაბათს, კლონშოფში საძაგელი გარემო დაგვიხვდა. მაგრამ, ჯანდაბას, ეს მთელი ცხოვრება ასეთი იყო. თვითმფრინავში ადგილების განაწილებამ კი სულ გამაგიჟა. მოხელეები წინ დასხდნენ, ჩვენ ფეხბურთელები კი უკან მიგვყარეს. იცით, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ვარ და თავს გამივიდა, უბრალოდ, როცა ფეხბურთის სათამაშოდ მიდიხარ, უპირატესობა გუნდს უნდა მიანჭო“.

ამასობაში კი ანდორელებზე ხმა დაირხა, მოედანზე შესაბამისი ლიცენზიის არმქონე ფეხბურთელები გაჰყავსო.

„ეს სასაცილოა“ — ამბობს ანდორის ფეხბურთის ფედერაციის პრესმდივანი — „ჩვენ ულიცენზიო ფეხბურთელი ნაკრებში არ გვყავს“.

და კიდევ, მეორე ჯგუფში კვიპროსი ესტონეთს მასპინძლობს. ამ შეხვედრაში რომელიმეს გამარჯვება იმ „რომელიმეს“ შეჯიბრის დარჩენილი ნაწილისადმი ინტერესს შეუნარჩუნებს. ფრე კი, როგორც ერთისთვის, ასევე მეორისთვის, არ არის სასურველი.

ბაკუნა კედია

პორტუგალია	4	3	1	0	9:2	10
ირლანდია	4	2	2	0	9:3	8
ჰოლანდია	4	2	1	1	11:4	7
კვიპროსი	4	2	0	2	8:10	6
ესტონეთი	4	2	0	2	4:6	6
ანდორა	6	0	0	6	3:19	0

III ჯგუფი

ბულგარეთი — ჩრდ. ირლანდია
ჩეხეთი — დანია

REUTERS სოფიიდან

ნილ ლენონის წუთიერი განცხრომა

რამდენიმე დღის წინ ჩეხებთან შეხვედრაში ჩრდილოირლანდიელებმა შინ წააგეს, მაგრამ სულ მცირე, ფრეს მაინც იმსახურებდნენ — ასეთი იყო საერთო აზრი, რომელსაც თამაშის შემდეგ ბრიტანელთა თავკაცი სემი მაკილროიც დაეთანხმება. რაკიღა ასეა და მწვრთნელი თავისი შეგირდების თამაშით კმაყოფილი დარჩა, იგი ახლა ბულგარელებთან სასტარტო შემადგენლობის შეცვლას არ აპირებს. თუ, რა თქმა უნდა, ტრავმებმა და სხვა მოულოდნელობებმა არ შეუშალა ხელი.

„ბულგარელებს ღირსეულად უნდა ვეთამაშოთ. ისე, როგორც ეს ჩეხებთან მოვახერხეთ, თუმც მჯერა, რომ ამჯერად გაგვიმართლებს. ისე, მასპინძლებს ერთობ ძლიერი გუნდი ჰყავთ“ — ბრძანა სოფიაში ახალჩასულმა მაკილროიმ.

როგორც ვთქვით, მწვრთნელი ისევ იმ ფეხბურთელებს ენდობა, ვინც ბელფასტში ითამაშა, მაგრამ ჯერჯერობით საეჭვოა ნილ ლენონისა და არონ ჰიუზის მინდორზე გასვლა. გლაზგოს „სელტიკის“ ნახევარმცველმა ლენონმა სოფიის ცსკა-ს სტადიონზე ვარჯიშისას მცირე ტრავმა მიიღო. „კოჭი ვიტკინე, თუმც იმედი მაქვს, თამაშს შევძლებ“ — განაცხადა მან.

იმედიანადაა განწყობილი ჰიუზიც, რომელიც ასევე ვარჯიშის დროს დაშავდა. მან კუნთი დაიჭიმა, მაგრამ, ექიმების ვარაუდით, სერიოზული არაფერია.

ახლა ბულგარული ბანაკის სიახლეზეც. გადაწყვეტილია, რომ შეხვედრას სასტარტოში ვერ დაიწყებს „შტუტგარტის“ ნახევარმცველი კრასიმირ ბალაკოვი. ბულგარელებმა რამდენიმე დღის წინ რთულ ბრძოლაში ისლანდია დაამარცხეს. ნაკრების მწვრთნელი სტოიჩო მლადენოვი აცხადებს, რომ 35 წლის ბალაკოვი იმ შეხვედრაში გადაიღალა და დღეს მთელი 90 წუთის განმავლობაში თამაშს ვერ შეძლებსო.

ნიკა შუბლაძე

ჩეხეთი	4	3	1	0	6:0	10
დანია	4	2	2	0	9:3	8
ბულგარეთი	4	2	1	1	6:3	7
ჩრდ. ირლანდია	4	1	1	2	2:3	4
ისლანდია	4	1	0	3	3:8	3
მალტა	4	0	1	3	0:9	1

IV ჯგუფი

მოლდოვა — შვედეთი
მაკედონია — თურქეთი
აზერბაიჯანი — სლოვაკეთი

ამ ჯგუფის მეხუთე ტურში თუ ვინმე არხეინად უნდა იყოს, რაღა თქმა უნდა, სლოვაკეთის ნაკრები.

სლოვაკები ბრატისლავაში ჯგუფის აუტსაიდერ აზერბაიჯანს მასპინძლობენ და ჩეხეთ-სლოვაკეთის გაერთიანების ტოლფასი სასწაული იქნება ბრატისლავაში დამხვდურთა ვერძოგება. გარდა იმისა, რომ სლოვაკებმა წინა ტურში სტამბოლში თურქებთან საპატიო ფრეს გამოჰკრეს ხელი, რთული მატჩის უტრავმებოდ მოლევაც მოახერხეს და აზერბაიჯანელებთან შეხვედრას ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელი ხვდება. ამიტომაც მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში დიდ ცვლილებებს არც უნდა ველოდოთ, აზერბაიჯანელები კი მოლდოვასთან მატჩში გაძევებულ ისმაილოვს მოისაკლისებენ.

მეტად პრინციპული მატჩი აქვთ შვედებს კიშინიოვში. ზოგადად შვედეთის და მოლდოვის ნაკრებებს შორის საგრძნობი სხვაობაა, მაგრამ ანგარიშგასაწევია ის ფაქტორი, რომ ბოლო დროს სკანდინავიელები დამაჯერებელ თამაშს ვერ აჩვენებენ და თითოეული ქულის მოპოვება გვარიან ოფლისღვრად და ნერვების წყვეტად უჯდებათ, მოლდოვას კი IV ჯგუფში ყველაზე უიღბლო გუნდის სახელი აქვს გავარდნილი. თითოეულ მატჩში ცდას არ აკლებენ ექსსპჭოელები, შესაძლებლობების მაქსიმუმით იბრძვიან, მაგრამ ბედი არ წყალობთ და დღეისთვის მხოლოდ ორქულიანი მარაგით ხვდებიან შვედებს. საამმატჩოდ მასპინძლები დისკვალიფიკაციის გამო მეკარე ხმარუკს და ნახევარმცველ ეპურიანუს მოისაკლისებენ, მიკროტრავმები აწუხებთ სოსნოვსკის და გაიდამაშუკს, თუმც, სავარაუდოდ, ისინი სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან.

პრობლემები აქვს მაკედონიასაც. დისკვალიფიკაციის გამო თურქების წინააღმდეგ ვასელინოვსკი ვერ ითამაშებს. მას ალბათ გიორგიოსკი შეცვლის. უცნაური მიზეზით დატოვა მაკედონიის ნაკრები კაპიტანმა ტონი მიჩევსკიმ. მე არ შემიძლია თამაში, როცა სტადიონზე მისტვენენ და მაგინებენ. სკოპიელ ვაი-გულშემატკივრებს მეტს ველარ მოვუთმენ, ამიტომ მივდივარ და ჩემი სიტყვა საბოლოოა, განაცხადა მიჩევსკიმ. მიუხედავად ამ დანაკლისისა, მაკედონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კანატლაროვსკი იმედიანადაა: „შვედებთან მატჩში ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელი ხრისტოვი არ გვყავდა, ამჯერად კი იგი შეგვეშველება, მასზე ბევრია დამოკიდებული და მჯერა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“ — თავდაჯერებულია კანატლაროვსკი. თურქები კი სკოპიეში სლოვაკებთან დაკარგული ქულების ანაზღაურებას შეეცდებიან და თავდასხმაში ნაცადი შუქურ-შაშის დუეტის იმედად იქნებიან.

ბაბატა ძგანტალიანი

თურქეთი	4	2	2	0	5:2	8
სლოვაკეთი	4	2	2	0	4:1	8
შვედეთი	4	2	2	0	3:1	8
მაკედონია	4	1	1	2	3:3	4
მოლდოვა	4	0	2	2	0:3	2
აზერბაიჯანი	4	0	1	3	0:5	1

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის ოპტიმალური შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

იყიდება



ორკარიანი ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო“ ბენზინზე 1986 წლის გამოშვება.
ფასი 3 500
ტელეფონი: 8 (99) 55 16 75

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
ევროპა

V ჯგუფი

ბელარუსი — ნორვეგია
პოლონეთი — სომხეთი
უელსი — უკრაინა

28 მარტს სომხეთში წაგებას გადარჩენილი უელსელები უკრაინელებს უმასპინძლებენ. კარდიფში, მილენიუმის სტადიონზე გუნდები ერთობ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებენ. უელსელებს რამდენიმე ფეხბურთელი მოთამაშე აკლიათ. გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებს „ჩარლტონ ატლეტიკში“ მობურთალი ჯონ რობინსონი. ბრიტანელებს ვერც ევერტონელი ნახევარმცველები — მარკ პემბრიჯი და რობი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გამოუნახავს მათი შემცვლელები. სავარაუდოდ, პემბრიჯის ადგილს მეტიუ ჯოუნსი დაიკავებს, ხოლო რობინსონს „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარემარბი, საუკეთესო უელსელი, რაიან გიგზი შეცვლის. ტრავმამოშუშებული გიგზი უელსის ნაკრებს ალბათ დიდად შეეწევა. თვით ფეხბურთელი იმედიანადაა და ამბობს: ეროვნული ნაკრებისთვის თავს არ დავზოგავ. იქ თამაში ჩემთვის დიდი პატივიაო.

გიგზით გაძლიერებული უელსის ნაკრები ალბათ, შეუტევს. შეტევის ხაზის მთავარი ფიგურა კი სომხების კარის ორჯერ დამლაშქრავი, „ქოვენთრი სიტის“ თავდამსხმელი ჯონ ჰართსონი იქნება.

კარდიფში უკრაინელებიც მაქსიმუმის გაკეთებას შეეცდებიან. ვალერი ლობანოვსკის გუნდს მოგება აუცილებლად სჭირდება. თამაშის წინ მწვრთნელს ბევრი თავსატეხი გასჩენია. გუსინისა და კოსოვსკის ტრავმებს იური დმიტრულინის ტრამვაც დაერთო. „ნახევარდაცვა ჩვენი ძირითადი პრობლემაა, მაგრამ თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა გვინდა, საკითხი უმოკლეს დროში უნდა გადაიჭრას. როგორმე უნდა შევეცადოთ მოვნახოთ გზა, რომ თამაშის დროს ბურთმა რებროვამდე და შევჩენკომდე მიაღწიოს, მათ კი თავიანთი საქმე შესანიშნავად იციან“.

დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი. უელსელებს დასაკარგი არაფერი აქვთ, თეორიული შანსი ჯგუფიდან გასვლისა ჯერ კიდევ არის. ამისთვის მათ უკრაინას, ხოლო შემდეგ ლიდერ პოლონელებს შინ წყვილად სამ-სამი ქულა უნდა დაატოვებინონ.

პოლონეთი	4	3	1	0	9:4	10
უკრაინა	4	2	1	1	5:5	7
ბელარუსი	4	2	1	1	5:5	7
უელსი	4	0	3	1	4:5	3
სომხეთი	4	0	2	2	5:7	2
ნორვეგია	4	0	2	2	3:5	2

VI ჯგუფი

შოტლანდია — სან მარინო

ოქტომბერში ანკონაში ჩაფრენილ საქართველოს ნაკრებს „ფალკონარას“ აეროპორტში შოტლანდიელ, კუბოკრულკბიან ფანთა 3000-იანი არმია დახვდა, რომელმაც სან მარინოში 2:0 მოგებით ვერ გაიგრილა გული და ახალ, 5000-იან „სტადიო ოლიმპიკოს“ ავი ხელი დაატყო.

დღეს შოტლანდია გლაზგოურ „ჰემდენ პარკზე“ მასპინძლობს სან მარინოს და ბელგიასთან საშაბათო ფრით გამოწვეული ჯავრის ამოყრას აპირებს.

— მე გულწრფელად თანავუგრძნობ ფეხბურთელებს, რომლებიც მომხდარს არ იმსახურებდნენ. სანმარინოელებთან, როგორც 5 წლის წინ, სულ მცირე, 5:0 უნდა მოვიგოთ. თუ შინ ხორვატიას და ლატვიასაც ვძლიეთ, ბელგიაში კი ქულა მოვიპოვეთ, კორეა-იაპონიაში წასვლას მაინც შევძლებთ — თვლის სქოთთა თავკაცი კრეიგ ბრაუნი, რომელსაც ტრავმირებული ნახევარმცველი ბარი ფერგიუსონი აკლია და მუცელატკიებული კოლინ ჰენდრის გამოკეთების ეიმედება. შოტლანდიელთა კაპიტნმა დღეს 51-ედ უნდა მოირგოს ნაკრების მაისური.

ბელგია	4	2	2	0	16:3	8
შოტლანდია	4	2	2	0	6:3	8
ხორვატია	3	1	2	0	5:2	5
ლატვია	4	1	0	3	2:9	3
სან მარინო	3	0	0	3	1:13	0

VII ჯგუფი

ლიხტენშტაინი — ბოსნია
ავსტრია — ისრაელი

ავსტრიელებს ორი წლის წინანდელი ამბავი არ დავიწყებიათ. მაშინ თელ ავივში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ავსტრიელები 0:5 დამარცხდნენ და იქადნებიან, ჯავრი უნდა ვიყაროთო, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი მოტივია, მთავარი ჯგუფში არსებული ვითარებაა.

ფაქტობრივად გარკვეულია, რომ ესპანეთს პირველ ადგილში მოცილე არ ეყოლება, ხოლო მეორესთვის სწორედ ავსტრია და ისრაელი იბრძოლებენ. მათი დღევანდელი შეხვედრა ალბათ, ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

ავსტრიელთა მწვრთნელი ოტო ბარიჩი ამბობს, შედარებაც არ შეიძლება, ისრაელი ბოსნიაზე ბევრად ძლიერიაო. არადა, გავიხსენოთ, რომ ავსტრია შაბათს ბოსნიასთან მხოლოდ ფრეს გამორჩა. ბოსნიასთანვე მატჩში დაშავდა შტურმელი მცველი გიუნტერ ნოიკირხნერი, რომელმაც თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო და ჟილბერტ პრილასნიგის შესაცვლელი შეიქნა. დღეს პრილასნიგი თავდანვე შემადგენლობაში იქნება.

იცით, რისი იმედი აქვს ოტო ბარიჩს? ვერაფრით გამოიცნობთ. რისი და პენალტი უნდა გამოვტყუოთ მსაჯსო. ამბავ, მოვუსმინოთ: „უპირველესად თავდამსხმელთა აქტიურობის იმედი მაქვს. ისინი რაც შეიძლება, ხშირად უნდა შეიჭრან მეტოქის საჯარიმოში, რადგან ეს პენალტით დაჯილდოების ერთადერთი შანსია“. ამაზე რუსები იტყვიან, რკინის ლოგიკააო.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ალბათ ბარიჩის ნათქვამი მოეწონა, ებრაელთა მწვრთნელი რიხარდ მიოლერ ნილსენიც მხიარულ განწყობაზე გახლდათ და როცა შემდგენლობაზე ჰკითხეს, უპასუხა, ზუსტად ის ვიცი, რომ თერთმეტ ფეხბურთელს გავიყვან მინდორზეო.

სერიოზულად კი ნილსენმა აი, რა განაცხადა: „ავსტრია შინ ძალიან კარგად თამაშობს და სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ ორი წლის წინ თუ გავანადგურეთ, ახლაც იგივეს ვიზამთ. მათი მთავარი იარაღი სწრაფი იერიშებია, რასაც მობილური დაცვა უნდა დავუპირისპირო და შევეცადოთ, ბურთი მოედნის შუაგულშივე ავართვათ“.

გიორგი დარჯანია

ესპანეთი	4	3	1	0	10:2	10
ისრაელი	3	2	0	1	5:3	6
ავსტრია	3	1	2	0	3:2	5
ბოსნია	3	0	1	2	3:6	1
ლიხტენშტაინი	3	0	0	3	0:8	0

IX ჯგუფი

ალბანეთი — ინგლისი
საბერძნეთი — გერმანია

კარსტენ იანკერმა სახალხოდ თქვა: მე შევცვლი ბირჰოფს!

ვინ შეცვლის ოლივერს? ალბათ, ოლივერი. ასეთია მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტის ფრანც ბეკენბაუერის აზრი, თუმცა ეს პრობლემა რუდი ფიოლერის გადასაწყვეტია. გერმანიის ნაკრების მწვრთნელი აცხადებს, რომ ამ პროცესმა გუნდის მომზადებას ხელი არ უნდა შეუშალოს.

საქმე ბუნდესნაკრების კაპიტანს ეხება. ალბანელებთან გაჭირვებით მოგებულ შეხვედრაში მასპინძლებს მოედანზე ოლივერ ბირჰოფი გაუძღვა, მაგრამ იმდენად უსუსურად, რომ შესვენებაზე შეცვალეს. როგორც ვარაუდობენ, ბერძნებთან დღევანდელ შეხვედრაში „მილანის“ ფორვარდი სასტარტოში სწორედ ამის გამო ვეღარ მოხვდება. ჰოდა, გუნდსაც ახალი კაპიტანი სჭირდება. როგორც გითხარით, ბეკენბაუერი და ბევრი სხვაც გამოცდილი ოლივერ კანის კანდიდატურას ემხრობიან, თუმცა დაუჯერებს თუ არა მათ ფიოლერი, დღეს გამოჩნდება. საღამოსვე გაირკვევა, ვინ შეუტევს ბერძნებს. მოსალოდნელია, რომ მწვრთნელი ამჯერად კარსტენ იანკერსა და ალბანელებთან სამი ქულის მომტან მიროსლავ კლოზეს ენდობა.

აი, მასპინძლებს კი არჩევანი მეტად შეუმცირდათ — ბოლო საწვრთნელ შეხვედრაში ტრავმა მიიღო ბერძენთა უპირველესმა ბომბარდირმა, „აიაქსში“ შოთა არველაძის პარტნიორმა ნიკოს მახლასმა და მისი თამაში დღეს გამოირიცხა.

ინგლისის ნაკრები კი ორშაბათს ტირანას ეწვია. „ხუთი ან ათი წლის წინ აქ უეჭველი სამი ქულის წასაღებად ჩამოვიდოდით, მაგრამ ახლა სხვა დროა და ეს ალბანელების ლევერკუზენში თამაშმაც დაამტკიცა — თქვა სტუმართა 26 წლის მცველმა გარი ნევილმა — მიუხედავად ამისა, ჩვენ, ცხადია, გამარჯვებას ვგეგმავთ. ახლანდელი ინგლისის ნაკრები, თავის პოტენციალით და ნიჭით, საუკეთესოა 1996 წლის გუნდის შემდეგ“.

ფინეთთან ავტოგოლით გამოჩენილმა ნევილმა, სხვათა შორის, თავის თანაკლუბელი ენდი კოულიც დაიცვა პრესის კრიტიკისგან. „იუნაიტედის“ ფორვარდმა ლივერპულში რამდენიმე სახიფათო მომენტი ვერ გამოიყენა და შედეგად, მედიის საქილიკო შეიქნა — ამ კაცს ინგლისის ნაკრებში ჯერ გოლი არ გაუტანიაო. მართლაც, კოულმა ეროვნული გუნდის მაისურით 12 მატჩი ითამაშა და მეტოქის კარი ერთხელაც ვერ აიღო. „მერე რა? თუნდაც ის გავიხსენოთ, რომ ენდი ევროთასებზე „მანჩესტერის“ ისტორიაში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელია“ — ამბობს ნევილი და გულშემატკივრებს აიმედებს, რომ კოული წყნარადაა და ალბანელებთან საბრძოლველად ჩვეულებრივად ემზადება.

გიგა ძოგაგიძე

გერმანია	3	3	0	0	5:1	9
ინგლისი	3	1	1	1	2:2	4
ფინეთი	4	1	1	2	3:4	4
ალბანეთი	3	1	0	2	4:4	3
საბერძნეთი	3	1	0	2	1:4	3

დევიდ ბეკჰემს თაყვანისმცემლები ალბანეთშიც არ აყლია

გიხაროდეთ, ენდი კოულმა ინგლისისთვის გაიტანა! საკალალო მხოლოდ ისაა, რომ ეს 8 წლის წინ, პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მოახერხა — ქილიკობს გუშინდელი „სანი“

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

სამხრეთ ამერიკა

არგენტინა — ვენესუელა
ეკვადორი — ბრაზილია
ურუგვაი — პარაგვაი

დიეგო სიმეონემ სამნიშნა ციფრს მიუკაკუნა

მას ჰქვია დიეგო. არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი სანაკრებო მატჩი გაუმართავს, მაგრამ ის არაა მარადონა, ის დიეგო სიმეონეა. დღეს ვენესუელელებთან შეხვედრა კი მისთვის მეასე იქნება.

ძველ რეკორდსმენ ოსკარ რუჯერის 98 მატჩი აქვს გამართული, ხოლო სიმეონეს 99-ე წინა თვეში რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ იტალია - არგენტინის ამხანაგური შეხვედრა იყო. იმ თამაშის მერე სიმეონემ დიდ არგენტინულ სამეულში დაიმკვიდრა ადგილი: დიეგო მარადონა — ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, გაბრიელ ომარ ბატისტუტა — ყველა დროის საუკეთესო მეგოლე, დიეგო პაბლო სიმეონე — ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში.

„მარადონას ვერც შევედრები — თქვა სიმეონემ — ახლა მასზე ცხრა მატჩით მეტი მაქვს ნათამაშევი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. დიეგო ყველაზე მაღლა დგას და იმდენად დიდი ფეხბურთელია, რომ დღესაც, 40 წლის ასაკშიც, შეუძლია თამაში. თუმცა მეორე მხრივ მეამაყება, რომ რაღაცით გადავუსწარი მარადონას. ამას თავდაუზოგავი შრომით მივაღწიე“.

დღეს დიეგო სიმეონე. ივივე „ელ ჩოლო“, როგორც მას არგენტინელები ეძახიან, მეასედ დაიცავს სამშობლოს ღირსებას. ამ შედეგის მისაღწევად მას ცამეტი წელი დასჭირდა.

სიმეონე პირველად 80-ანი წლების ბოლოს მიიწვიეს ეროვნულ გუნდში, მაგრამ იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე კარლოს ბილარდომ არ წაიყვანა. „ოცი წლის ვიყავი და განაცხადიდან ბოლო წამს ამოშალეს. ეს ჩემთვის უდიდესი იმედგაცრუება გახლდათ. სხვათა შორის, 78-ში მარადონასაც იგივე დაემართა“ — იგონებს სიმეონე.

იმ ზაფხულში სიმეონე მაინც წავიდა იტალიაში, ოღონდ „პიზაში“, რომელიც მაშინ სერია A-ში თამაშობდა. მეორე სეზონი „პიზამ“ და სიმეონემ სერია B-ში გაატარეს. არგენტინელმა მაშინ გუნდის დატოვება არ ინდომა, ისევე როგორც გაბრიელ ბატისტუტამ ორი წლის მერე, როცა „ფიორენტინაც“ ქვედა სერიაში გადავიდა.

მერე იყო „სევილია“, სადაც დიეგო მარადონა თამაშობდა, ხოლო ორი სეზონის შემდეგ მადრიდის „ატლეტიკო“ და პრიმერადივიზიონის ჩემპიონის ტიტული. მაშინ, 1996 წელს, უდავო ფავორიტებად „რეალი“ და „ბარსელონა“ ითვლებოდნენ (როგორც ყოველთვის) და „ატლეტიკოს“ გაჩემპიონება დიდი საოცრება იყო.

მერე „ინტერი“ და უეფას თასი, ახლა კიდევ „ლაციო“. დიეგო სიმეონე ერთადერთი არგენტინელი ფეხბურთელია, რომელიც ესპანეთის ჩემპიონიც გამხდარა და იტალიისაც.

წინა სეზონში, სერია A-ს დასრულებამდე შვიდი ტურითადრე, „ლაციო“ „იუვენტუსს“ ცხრა ქულით ჩამორჩებოდა. რომაელთა ბოლო იმედი მათი ურთიერთშეხვედრა იყო. იმ თამაშში ერთადერთი გოლი სწორედ სიმეონემ გაიტანა. მერე ბოლო ოთხ ტურში მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია და „ლაციომ“ სკუდეტო მოიგო.

აი, ასეთი კაცია დიეგო პაბლო სიმეონე, თუმცა მან ნაკრებში რამდენი მატჩიც უნდა ითამაშოს, მისი სახელის ხსენებაზე უპირველესად საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში დევიდ ბექემთან წიხლაობა გვახსენდება.

დიეგო სიმეონე თავის ასნომრიან მაისურასთან მარტო დავტოვოთ და ორიოდ სიტყვა დღევანდელ მატჩებზე ვთქვათ. ისევე როგორც ევროპაში, სამხრეთ ამერიკაშიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები განახლდა.

არგენტინა — ვენესუელაზე სათქმელიც არაფერია, იმხელა უფსკრულია მათ კლასს შორის, ერთადერთი დიეგო სიმეონეს ამბავი იყო საინტერესო და ისიც მოვყევით.

ერთი შეხედვით იგივე ითქმის ეკვადორი — ბრაზილიის შეხვედრაზეც. ეკვადორი არასდროს მოხვედრილა მსოფლიოს ჩემპიონატზე (მის გარდა სამხრეთ ამერიკაში ასეთი მხოლოდ ვენესუელაა) და არასდროს დაუმარცხებია ბრაზილია. ჰოდა, იოლი მისახვედრია, ვინცაა ფავორიტი, მით უფრო, რომ ნაკრების სათავეში ემერსონ ლეაოს მოსვლისა და რომარიოს დაბრუნების შემდეგ, ბრაზილიის ნაკრები აშკარად უფრო ძლიერია, ვიდრე ვანდერლეი ლუქსემბურგოს დროს.

მაგრამ ეკვადორელები საპირისპიროს ირწმუნებიან. „ბრაზილიის დამარცხებით ჩვენ ისტორიის შეცვლა გვსურს“ — თქვა ეკვადორელთა თავდამსხმელმა ივან კავიედესმა. „ოთხშაბათი განსაკუთრებული დღე იქნება ეკვადორული ფეხბურთისთვის“ — ეს მწვრთნელ ერნან დარიო გომესის სიტყვებია.

მაინც რას ემყარება ეკვადორელთა ასეთი რწმენა? უპირველესად იმას, რომ ეკვადორი ათგუნდიან ჯგუფში ყველას გასაოცრად მეოთხეა, რაც კორეა-იაპონიაში მოსახვედრად საკმარისია. მეორე ის, რომ ანდებში, ზღვის დონიდან 2 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარე დედაქალაქ კიტოში, გამარჯვებას სტუმრები ძალიან იშვიათად ახერხებენ და ამ ციკლში საერთოდ ვერავის მოუხერხებია.

გაიშვიათებული ჰაერის პრობლემის დაძლევა ბრაზილიელებმა ასე განიზრახეს: ორი დღე ისინი ეკვადორის უდიდეს ქალაქში — გუაიკუილში ვარჯიშობენ და კიტოში თამაშამდე ორი საათით ადრე ჩავლენ — ექიმები ამბობენ, კარგი მეთოდიაო.

გიორგი დარჯანია

რონალდინიოს და რომარიოს ეკვადორელთა დაბრიყვება არ უნდა გაუჭირდეთ

რაული დაემზადა ფრანგების წინააღმდეგ



რაული ფრანგებს ეშუკრება, ბასკები — ბიქსენტ ლიზარაზუს

დღეს ესპანური ვალენსია ესპანეთ-საფრანგეთის ამხანაგურ მატჩს უმასპინძლებს. თამაში ამხანაგური კია, მაგრამ ესპანეთ-საფრანგეთის დაპირისპირება, თუნდაც მოტივაციის გარეშე, დაძაბული და მძაფრი იქნება. ესპანელებს აქვთ რაღაც დასამტკიცებელი და მეზობლებთან მატჩში საბრძოლო განწყობით გავლენ მოედანზე.

ხოსე ანტონიო კამაჩოს გუნდს საფრანგეთის ნაკრებისგან წინა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩის სიმწარეც ახსოვს. განსაკუთრებით ეს ესპანელთა მეგოლე რაულზე ითქმის. გეხსომებათ, თავდამსხმელს შესანიშნავი შესაძლებლობა ჰქონდა, თამაში გადაერჩინა, მაგრამ თერმეტმეტრიანი ნიშნულიდან მისმა უძლიერესმა დარტყმულმა კარის ხარიხას გადაუფრინა.

„ეს პენალტი მუდამ მემახსოვრება. მისი ვიდეოჩანაწერი საფრანგეთ-ესპანეთის ყოველი შეხვედრის წინ მრავალჯერ დატრიალდება. მე ყოველნაირად შევეცდები წარსულის დავიწყებას და ფრანგებს ვალენსიის გადავსებულ სტადიონზე ძნელ, დაძაბულ თამაშს ვპირდები დღევანდელ მატჩში“. ნაკრების სახელითაც აცხადებს რაული და დასძენს, რომ ხვალ გასამართი თამაშით იმ სამარცხვინო იმიჯის ჩამორეცხვას შეეცდებიან, რომელიც ამ ბოლო დროს გამართული ამხანაგური თამაშების შემდეგ შეიძინეს: „შევეცდებით, დავამტკიცოთ, რომ ხელწამოსაკრავები არ ვართ და დიდი გუნდებისგან არცთუ ისე შორს ვდგევართ, როგორც ზოგს ჰგონია“.

რაული ეროვნულ გუნდში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ნაკრების სახელით ლაპარაკის უფლებაც აქვს. მას ესპანეთის ნაკრებში 19 გოლი აქვს გატანილი და შეუძლია, ემელიო ბუტრაგენიოსა და ფერნანდო იეროს დაეწიოს, რეკორდი — 26 სანაკრებო გოლი გაიმეოროს.

ფრანგთა სტუმრობას პირენეის ნახევარკუნძულზე გარდა საფეხბურთო დაძაბულობისა, სხვაგვარი ელფერიც დაჰკრავს. მამლებს ქვეყანაში შემოსვლისთანავე პოლიციის გაძლიერებული კორდონი ეხვევა გარს. თამაშის დროსაც, „მესტალიაზე“ უშიშროების განსაკუთრებულ ზომებს მიიღებენ. იკითხავთ, რა ხდებაო, თავიდათავი ერთი საშუალო აღნაგობის ბასკი გახლავთ. ბიქსენტ ლიზარაზუ საფრანგეთის ეროვნულ გუნდს ესპანეთში ეახლა და თანამემამულე ტერორისტთა სამიზნე გამხდარა.

მიუნხენის „ბაიერნის“ მცველს ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია ეტას რისხვა თავისი ანტიპატრიოტული განწყობის გამო დასტყდომია თავს. ლიზარაზუ ტერორისტებს არ თანაუგრძნობს და სეპერატისტთა ორგანიზაციის საქმიანობას მავან ბასკთა დარად ფინანსურად არ ეხმარება. ბასკთა ქვეყანაში კი ეს საზოგადო სირცხვილად ითვლება. ამიტომაც, ეტას მამულიშვილურად განწყობილი ქილერები ფრანგულ სისხლგადასხმულ, მოღალატე ლიზარაზუს სამაგალითო დასჯას აპირებენ.

გიორგი მამარდაშვილი

იტალია

სერია B
XXVIII ტური
ემპოლი ¼ კიევი
10 იაკობინო (15), 11 ბარონე (86)

სერია C1/A
28-ე ტური: მოდენა — კომო 0:0

ნებისმიერი საფეხბურთო ანგარიში, უახლესი ინფორმაციები NHL და NBA.
ცნობები ცნობილაძისგან.
ტელ. 8-22-00-90-11.
1 წუთის ღირებულება 50 თეთრი.

ვისია, ვისია... დარტყმა პირველი?

ლიდსელთა სასამართლო დასასრულს უახლოვდება

ერთი წლის წინ ლიდსის მილ-ჰილის ქუჩაზე მომხდარი ჩხუბის სასამართლო განხილვა ექვსი კვირის თავზე პროკურორისა და მოსამართლის გასაუბრებით გაგრძელდა. გუშინწინდელ მოვლენებს თუ გავითვალისწინებთ, მალე, ალბათ, ფეხბურთელებსა და მათ ძმაკაცებს ბრალდებას წაუყენებენ.

პროკურორმა ნიკოლას კემპბელმა „ლიდსის“ მოთამაშეები ლი ბოიერი და ჯონათან ვუდგეიტი, აგრეთვე ამ უკანასკნელის ორი მეგობარი — ნილ კავენი და პოლ კლიფორდი — უმწეო კაცის ცემაში და მის მიტოვებაში დაადანაშაულა. მისტერ კემპბელის რისხვას ვერც მაიკლ დაბერი გადაურჩა — ზანგი მცველის გასამართლება მან ცრუ ჩვენებებისა და სასამართლოსთვის თვალის ახვევის გამო მოითხოვა. „ყველა მათგანისთვის დამამძიმებელი გარემოება ისაა, რომ ისინი მომხდარის მიჩქმალვას ცდილობდნენ და გამოძიებას არ ეხმარებოდნენ“ — თქვა პროკურორმა.

თუმცა, როგორც ჩხუბის მოწმეთა ბოლოდროინდელი ჩვენებებით გაირკვა, ლიდსელთა შელაპარაკება პაკისტანელ სტუდენტთან, შესაძლოა, ოდენ ლანძღვა-გინებით დასრულებულიყო, რომ არა თავად დაზარალებულის ქმედება: მან პირველმა გაარტყა ვუდგეიტის ერთ-ერთ ძმაკაცს. მოსამართლემ სწორედ ეს ფაქტი შეახსენა პროკურორს, მაგრამ ამან განაცხადა: ცხადია, ეს საქმეს ცვლის, მაგრამ გადამწყვეტი არაა, მთავარი ისაა, რომ ვუდგეიტის ჯგუფმა სარფრაზ ნაიჯების ცემას შურისძიების და დასჯის ფორმა მისცეს, მერე კი ცხვირ, ნიკაპ და ფეხმოტეხილი ბედის ანაბარა მიაგდესო.

ჯონათან ვუდგეიტმა აღიარა, რომ უკვე უგონოდ მყოფ ნაიჯების ტყუპი წიხლი ჩააზილა. როგორც სასამართლოზე გაირკვა, ამის მერე პოლ კლიფორდმა პაკისტანელს ერთი-ორი კიდევ უთავაზა და ქუჩაში ძაღლივით ათრია.

პროკურორმა განსაკუთრებით ბოიერის არაპატიოსანი საქციელი დაგმო — პირველ ჩვენებაზე „ლიდსის“ ნახევარმცველმა განაცხადა, ჩხუბისა არაფერი ვიცი, ეგ კი არა, იმ ქუჩაზე ცხოვრებაში არასდროს ვყოფილვარო. „ეს აშკარა და სამარცხვინო ტყუილი მან კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა“ — აღშფოთებულია ბრალმდებელი.

ლი ბოიერი

რაც შეეხება დაბერის, რომელმაც ცრუმოწმეობას თავი მხოლოდ მარტში ანება და ბოლოს და ბოლოს, სიმართლე აღიარა, მისი ჩვენება ჟიურის წევრებში დღესაც ეჭვს იწვევს — სადაც ამდენი იცრუა, ჭეშმარიტებად ვერც მის ვითომ აღსარებას მივიჩნევთო.

...სასამართლო გრძელდება და როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება.

გიგა კოგანიძე

ფეხბურთის ჩანაბარი

ბრაზილიელი მცველი მარსელო ანდერსონ და სილვა შესაძლოა, მალე „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ. კატალონიური კლუბის წამყვანი მცველი აბელარდო ტრავმირებულია და კარგა ხანს ვერ ითამაშებს. მწვრთნელმა ლორენს სერა ფერერმა კი განაცხადა „ბარსელონა B“-ს ფეხბურთელი შეიყვანა. 20 წლის ბრაზილიელი „ბარსელონამ“ იანვარში შეიძინა. იგი აქამდე სარეზერვო გუნდში თამაშობდა. კატალონიიდან კიდევ ერთი სიახლეა, თავდამსხმელ ალფონსოს გუნდი ზაფხულში გაყიდვას უპირებს. ეს ფეხბურთელი „ბარსელონაში“ სეზონის დაწყების წინ „ბეტისიდან“ 8 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა, თუმცა ახლა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

შოტლანდიის ჩემპიონის „გლაზგო რეინჯერსის“ ორი მოთამაშის — ჯოვანი ვან ბრონკჰორსტისა და ბარი ფერგიუსონის შეძენას სეზონის ბოლოს „ჩელსი“ აპირებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ 23 წლის ფერგიუსონს „ლიდს იუნაიტედი“, „არსენალი“ და „ლივერპულიც“ ეპატიჟებიან. გავრცელდა ცნობა, რომ ლონდონურმა კლუბმა გლაზგოში წარმომადგენლები უკვე გააგზავნა, რათა ისინი „რეინჯერსის“ მოთამაშეებს დაიკვირდნენ და მათთან მოლაპარაკებები წამოიწყოს.

ესპანეთის ჩემპიონმა „დეპორტივომ“ სურვილი გამოთქვა, მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი სავიო ბორტოლინი შეიძინოს. არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს გალისიური კლუბიდან ორი მოთამაშე — ტურუ ფლორესი და ფერნანდო სანჩესი წავიდეს და მწვრთნელი ხავიერ ირურეტაც ახალ ფეხბურთელებს ეძებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სავიოს „რეალიდან“ გადაბირებას „ჩელსიც“ აქტიურად ცდილობს. თუ „დეპორტივომ“ ბრაზილიელი ვერ გადაიბირა, მაშინ „ესპანიოლის“ ნახევარმცველ როხერ გარსიასთან ან „ჰამბურგის“ ირანელ ლეგიონერ მეჰდი მაჰდავიკიასთან დაიწყებს მოლაპარაკებას.

იუგოსლავიელი თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩი სეზონის ბოლოს „ფიორენტინადან“ წასვლას აპირებს. ორი სეზონის წინ მადრიდის „რეალიდან“ ფლორენციულ კლუბში ჩარიცხულმა ფეხბურთელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, მიატოვიჩთან „გალათასარაი“ აწარმოებს მოლაპარაკებას და ზაფხულში ეგებ სტამბოლში გადაიყვანოს. აქვე აღვნიშნოთ, რომ თავდამსხმელს „ფიორენტინასთან“ კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

ესპანეთის მეორედივიზიონურმა „სალამანკამ“ მწვრთნელი ხუან სენიორი თანამდებობიდან დაითხოვა. კლუბი არცთუ ძლიერ შედეგებს აჩვენებს და ხელმძღვანელობამ სწორედ ასეთი გამოსავალი გამონახა. „მართალია, პოსტი დავტოვე, მაგრამ ვისურვებდი, რომ ახალ მწვრთნელს წარმატებისთვის მიეღწიოს. მჯერა, რაც მე ვერ შევძელი, სხვა მოახერხებს“ — განაცხადა სენიორმა. ხელმძღვანელებს კი ახალი მწვრთნელის ვინაობა ჯერჯერობით არ დაუსახელებიათ. არ გამორიცხავენ, ახალგაზრდული გუნდის თავკაცი დააწინაურონ.

რესტორანი ზღიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX სახელები სახეები ჯილდოები

სალამოს საუკუნის კომენტატორი (აკი მიიღო კიდეც ფორმით ამერიკული კინოაკადემიის ოსკარის მსგავსი ეს ჯილდო) კოტე მახარაძე უძღვებოდა. დარბაზში მსხდომმა და მოვლენის პირდაპირი ტელერეპორტაჟის მაცქერალმა საზოგადოებამ შიგადაშიგ თანამედროვე ქართული სიმღერებით შეზავებული შოუ იხილა, რომლის განმავლობაშიც მრავალი ნომინაციის გამარჯვებული დასახელეს.

ჯერ მს მედიის ღვაწლი აღინიშნა. საუკუნის მწერალ ჟურნალისტად აწვანსვენებული როდიონ (ბიჭიკო) ქორქია აღიარეს. ჯილდოთი შეამკეს პირველი რადიო და ტელეკომენტატორის ეროსი მანჯგალაძის ხსოვნაც. ხოლო ტელეჟურნალისტისთვის განკუთვნილი პრიზი დავით ქლიბაძეს გადაეცა. საუკუნის გაზეთად სპორტულ ჟურნალისტთა თაობების აღმზრდელი „ლელო“ დასახელეს.

„საფეხბურთო ოსკარი“ ხელოვნების სფეროსაც გადაწვდა: ჯილდო კინოოპერატორმა მიხეილ ჭიაურელმა მიიღო. დაფასდა თბილისის „დინამოს“ ექიმის, ზაურ თელიას ღვაწლიც. საუკუნის მსაჯის წოდება კი ანატოლი მილჩენკოს ხვდა. საგანგებო „ოსკარები“ ერგოთ ერთადერთ ოლიმპიურ ჩემპიონ-ფეხბურთელს გელა კეტაშვილს და უხუცესთ, გრიგოლ გაგუასა და გაიოზ ჯეჯელავას.

საუკუნის მეკარედ სერგო კოტრიკაძე აღიარეს. საუკუნის მცველად მურთაზ ხურცილავა, ნახევარმცველად დავით ყიფიანი, თავდამსხმელად მიხეილ მესხი. საუკუნის მწვრთნელის ჯილდო უდიდესი ქართული წარმატების შემოქმედის, ნოდარ ახალკაცის შვილიშვილს გადასცეს, ხოლო საუკუნის გოლად, ცხადია, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატების მომტანი, ვიტალი დარასელიას გოლი გამოცხადდა.

საუკუნის გუნდობა 1981 წლის თბილისის „დინამოს“ ხვდა — ისევ და ისევ იმ გუნდს, რომელმაც ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო, ხოლო საუკუნის კაპიტნად ალექსანდრე ჩივაძე აღიარეს.

და ბოლოს მთავარი: საუკუნის ფეხბურთელი. ეს წოდება მიანიჭეს ლეგენდარულ ბორის პაიჭაძეს, რომლის ვაჟს, რამაზ პაიჭაძეს პრიზი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადასცა. პრეზიდენტმა იქვე განაცხადა, რომ ბორის პაიჭაძეს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით აჯილდოებს.

ილია გაბუნაჯვილი
ბადრი ძეთილაძე (ფოტო)

საუკუნის ნახევარმცველის და თავდამსხმელის პრიზები
დავიდ ყიფიანისა და მიხეილ მესხის ვაჟებმა ჩაიბარეს

ვანო ზოდელავამ საუკუნის მწვრთნელის პრიზი
ნოდარ ახალკაცის შვილიშვილს გადასცა

ფილარმონიის დიდ დარბაზში ფირმა „ვერიტას“ მოწყობილმა და „მაგთი GSM“-ის დაფინანსებულმა საღამომ ორ საათს გასტანა. ორი საათი, თავისთავად, ცოტა დრო არ არის, მაგრამ საუკუნოვანი, დიდი მოვლენებითა და პიროვნებებით მდიდარი ქართული ფეხბურთი მხოლოდ წიგნთა ტომებსა და გადაცემათა ციკლებში თუ ჩაეტევა. ხოლო ფილარმონიაში დაჯილდოების ცერემონიალი ვიხილეთ, რომელზე მოსახვედრად ბილეთს ფასად 30 ლარი ედო.

საუკუნის ფეხბურთელი ბორის პაიჭაძეს!
მისმა ვაჟმა რამაზმა პრიზი საქართველოს პრეზიდენტ
ედუარდ შევარდნაძისგან მიიღო

საუკუნის საფეხბურთო ექიმი ზაჭარია თელია და მარინა დარასელია,
საუკუნის გოლის ავტორის ვიტალი დარასელიას მეუღლე

იყო სიმღერაც, იყო „სეთიც“

საუკუნის მეკარე: სერგო კოტრიკაძე

საუკუნის მცველ მურთაზ ხურცილავას ვლადიმერ ელოშვილი აჯილდოებს

საუკუნის კაპიტანი: ალექსანდრე ჩივაძე

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

გერმანელმა ბებრები დაანიოკა



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — კლივლენდი. სიეტლელი გერი პეიტონი ანდრე მილერსა (№24) და კლარენს ვეზერსპუნს შორის

26 მარტი

პორტლენდი 104:96 კლიპერსი

პორტლენდი: სმიტი (19), ვოლესი (19), ვეესლი (15)

კლიპერსი: მეჯიტი (19)

იუტა 90:98 დალასი

იუტა: მელოუნი (21 ქულა, 10 მოხსნა), მარშალი (17 ქულა, 12 მოხსნა)

დალასი: ფინლი (33 ქულა, 12 მოხსნა), ნოვიცკი (27 ქულა, 13 მოხსნა)

ფინიქსი 104:83 ლეიკერსი

ფინიქსი: მარიონი (27), კიდი (22 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი)

ლეიკერსი: ონილი (27 ქულა, 12 მოხსნა)

ფილადელფია 90:78 მილუოკი

ფილადელფია: აივერსონი (36), მაკკი (20), მუტომბო (12 ქულა, 17 მოხსნა)

მილუოკი: კასელი (20), ალენი (18), რობინსონი (18)

ჩიკაგო 104:109 დენვერი

(ძირითადი დრო 95:95)

ჩიკაგო: მერსერი (30), ბრენდი (25 ქულა, 11 მოხსნა)

დენვერი: მაკდაიესი (35 ქულა, 12 მოხსნა), პოუზი (23 ქულა, 14 მოხსნა), ვილისი (18 ქულა, 13 მოხსნა)

სიეტლი 104:86 კლივლენდი

სიეტლი: პეიტონი (21), პატერსონი (16)

კლივლენდი: პერსონი (16), მილერი (14 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი 87:89 ნიუ იორკი

(ძირითადი დრო 85:85)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (41), პორტერი (24)

ნიუ იორკი: რაისი (18), სპრიუელი (17), პიუსტონი (16)

ჩემპიონი „ლეიკერსი“ ისე რომ ვეღარ ზეობს, როგორც წინა სეზონში, ძველი ამბავია და ეს ადრეც არაერთხელ გვითქვამს. აგერ, ლოსანჯელესელებმა მორიგი მარცხი იწვნიეს, ფინიქსში 21 ქულის სხვაობით განადგურდნენ, რის მიზეზადაც უცილობლად კობი ბრაიანტის არყოფნას ჩათვლიან და არც გაემტყუნებათ, რადგან კობის არყოფნით მატჩში საშუალოდ 29 ქულას და კიდევ ბევრ სარგებელს კარგავენ, კენტად დარჩენილი შაკილ ონილი კი ყველა თამაშს ვერ მოიგებს. შაკს თავი არ შეურცხვენია, სოხუმში შობილ და ტომთან ბერძენ ყმაწვილ იაკოვოს ცაკლიდისთან (8 ქულა) ჭიდილში საკმაო ოდენობის ქულა-მოხსნები კი მოუნაგრა ჩემპიონებს, მაგრამ სხვათაგან ნაკლები შემწეობა მიიღო და „ლეიკერსი“ პირველ ნახევარშივე გაიწირა წასაგებად. მასპინძლებმა ჯეისონ კიდმა და შონ მარიონმა სტუმართა დაცვა პირველივე წუთებიდან უქმად ამყოფეს და ტაიმი რომ იწურებოდა, ტალო „ფინიქსის“ ოცქულიან უპირატესობაზე მეტყველებდა, რის შედეგაც თამაშმა აზრი დაკარგა.

„ეს ერთი რიგითი თამაშია და ჩემპიონის წაქცევით მის ადგილს ვერ დავიკავებთ. თუმც ასეთი მეტოქის ძლევა თავდაჯერებას გვმატებს და რაც მეტი იქნება, მით უკეთესი“ — უთქვამს ნამატჩევს „ფინიქსის“ ლიდერ ჯეისონ კიდს.

„ლეიკერსის“ ყოველი მარცხი მის კონკურენტებს გულზე მალამოდ რომ ეფინებათ, ესეც ხომ დღესავით ნათელია. ჩემპიონის წაგებით სხვებზე მეტად „პორტლენდი“ გაიხარებდა, რომელმაც დაუგეგმავ ჩავარდნას დაგეგმილი აღმასვლა მოაყოლა, ამ ორშაბათს ზედიზედ მესამედ მოიგო და ახლა მეოთხეადგილოსან ჩემპიონს ერთი გამარჯვებითდა ჩამორჩება.

„პორტლენდმა“ შინ დამაჯერებლად და არა გამანადგურებლად სძლია „კლიპერსს“ მაშინ, როცა ყველა ელოდა, საშინელ დღეში ჩაგდებს და ამ სეზონში ორი მარცხისას ახლა ერთიორად აზღვევინებსო. მასპინძლებმა აუღელვებლად, საკუთარ ძლიერებაში დარწმუნებულებმა დაიწყეს თამაში და ასევე დაასრულეს. არც 30-ქულიანი უპირატესობის მოსაპოვებლად მოუკლავთ თავი და არც მეტოქეს მისცეს დაახლოების საშუალება.

ნაკლებად გაუმართლა კიდევ ერთ ბობოლას, ბებრების „იუტა ჯაზს“, რომელიც დასავლეთში მეორეა და პირველობას კი ჩემულობს. „ჯაზმენები“ „დალას მავერიქს“ მასპინძლობდნენ და საკუთარი თავის გარდა ოცი ათასი ქომაგის დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ ქომაგის რა ბრალია, როცა თავად „იუტამ“ ვერ ივარგა. ათი წელი მაჩანჩალად ნამყოფი და წლეულსღა წამოჩიტული ტეხასელები დასავლეთის ოთხ რჩეულს შორის მოხვედრაზე ოცნებობენ, რაც მათ პლეი ოფის პირველ წრეში მოედნის უპირატესობას დაუბეევებს, ამიტომ ნებისმიერ თამაშში გამარჯვება დაუგეგმავთ. სოლტ ლეიკ სიტიშიც მოსაგებად ჩავიდნენ და თუმც პირველი ტაიმის შემდეგ 11 ქულით აგებდნენ, მაინც თავისას მიაღწიეს. „დალასის“ 23 წლის 213-სანტიმეტრიანმა თავდამსხმელ-ფრთამ, გერმანელმა დირკ ნოვიცკიმ, სულ სასწაულები აკეთა, თამაშის ბოლო ორ წუთში „მავერიქსმა“ 14 ქულა(!) ჩაუგდო გაოგნებულ მასპინძლებს და აქედან 12(!!!) სწორედ გერმანელის ანგარიშზეა. საზოგადოდ ნოვიცკის ოქროს ხელები აქვს. ეს ახმახი ყველა დისტანციიდან მარჯვედ ესვრის, თუმც ამ დღეს სროლა არ წაუვიდა, თამაშში 18-დან 13 ააცილა, მაგრამ 17 საჯარიმოდან 15 ჩააგდო. იმ თორმეტი ქულიდანაც ათი საჯარიმოებით მოაგროვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბოლო წუთებში მასპინძლები ფრიად წარმატებით დააწიოკა. მხცოვან იუტელს კარლ მელოუნს, რომელსაც ნოვიცკი ლამის შვილად ერგება, ნამატჩევს უთქვამს, ეგ ბიჭი პირწავარდნილი ლარი ბერდიაო. იგი პირველი არაა, ვინც ეს თქვა. გერმანელს არც სხვათაგან აკლია მსგავსი ქება-შედარებები.

როგორც იქნა, ბობოლათა შორის ბობოლა „ფილადელფიას“ ტანჯვასაც მოეღო ბოლო. თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ლიგაში მოპირველე „სიქსერზს“ ჩაუქი სნაიპერი ალენ აივერსონი დაუბრუნდა და თავისიანებს 36 ქულა დაახმარა ხუთმატჩიანი წაგებების სერიის შესაწყვეტად. აივერსონმა, რომელსაც სეზონის უძვირფასეს მოთამაშეობას უქადიან, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის პრობლემა, რომელსაც უთამაშებლობის გამო ფორმიდან ამოვარდნა ჰქვია, მისთვის არ არსებობს. მან პირველივე მეოთხედში 13 ქულა ჩაუგდო „მილუოკის“, მაგრამ როცა ის ბურთს ბურთზე აგდებდა, სხვა თასაგუნდელები უქმად იყვნენ, თავიანთ წინამძღოლს ოდენ ექვსი ქულა შეაშველეს და „ფილადელფიამაც“ მეოთხედი 19:25 წააგო. მერე კი თანდათან გამოფიზხლდა აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდი და მომდევნო მეოთხედი 26:17 მოიგო, შემდეგ — 30:17 და „მილუოკე“ შინ ნაწყენი გაუშვა.

ამ შაბათს უხეირო „გოლდენ სტეიტმა“ შინ „დეტროიტთან“ იმარჯვა და ბოლო თორმეტ მატჩში პირველად გაიხარა. კარგა ხნით ნაშიმშილევმა „მეომრებმა“ გამარჯვება იგემეს და ისე გათამამდნენ, „ნიუ იორკ ნიქსსაც“ დაუპირეს წაქცევა. ჩანაფიქრს აასრულებდნენ, „ნიქსის“ სათადარიგოს, ყოფილ სუპერვარსკვლავ გლენ რაისს მეოთხე მეოთხედის ბოლო წამებზე სამქულიანი რომ არ ჩაეგდო. მატჩი ოვერტაიმში გადავიდა და იქ „ნიუ იორკმა“ იმარჯვა.

ასევე დამატებითი დრო დასჭირდა „დენვერსა“ და „ჩიკაგოს“ შორის გამარჯვებულის გამოვლენას. „დენვერმა“ ფარზეც დაჩაგრა ლიგის უსუსტესი გუნდი (59:36) და გუნდურ თამაშშიც, სტუმართა მსროლელმა ჯორჯ მაკლაუდმა ნიკ ვან ექსელის არყოფნაში გამთამაშებლობა ითავა და ამ სეზონში ყველასთვის სარეკორდო, 22 ქული გააკეთა. თუმც „ჩიკაგო“ მოიგებდა კიდეც, ანტონიო მაკდაიესს რომ არ ეყოჩაღა. სტუმართა ლიდერმა ძირითადი დროის ბოლო წამებზე ორი საჯარიმო ჩაუგდო და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა. ოვერტაიმში „ჩიკაგოს“ მალე გამოელია ღონე და დანებდა მეტოქეს.

თუ „სიეტლისთვის“ ამ სეზონს კიდევ აქვს აზრი, „კლივლენდს“ ყოველგვარი სტიმული დაუკარგავს და რაღა გასაკვირია, იშვიათად რომ იგებს. 26 მარტსაც კლივლენდურმა „კავალერიამ“ სიეტლელებს მხოლოდ საწყის თორმეტწუთეულში გაუწია წინააღმდეგობა, მერე კი მატჩის სადავეები მოწინააღმდეგეს გადაულოცა, თავად კი კუდი ამოიძუა.

ირაკლი ფირაზვილი

სლოვენია

I-VI ადგილები.

XXV ტური

პივოვარნა — ოლიმპია 83:108, კრკა — როგლა 112:82

სლოვანი 80:66 კრაშკი ზიდარი

სლოვანი: ნოვაკი (16), კოვაჩი (12), მარავიჩი (11), კოკალი (8), ბოისა (7), ცძიტიშვილი (7), ჯურკოვიჩი (7), ფაკელი (7), უბრეხელიძე (5)

კრაშკი ზიდარი: სუშიჩი (28), დ. პეტროვიჩი (17), სპაპიჩი (8), მუგოშა (7), ლიკარი (2), ვ. პეტროვიჩი (2), სილა (2)

ოლიმპია	25	24	1	2417:1663	49
კრკა	25	24	1	2248:1853	49
პივოვარნა	25	17	8	2208:2109	42
სლოვანი	25	14	11	2050:1991	39
როგლა	25	11	14	2079:2219	36
კრაშკი ზიდარი	25	11	14	1860:2045	36

საბერძნეთი

XX ტური

ნიარ ისტი — არისი 73:71, ირაკლისი — ირაკლიონი 88:90, აეკ — პერისტერი 71:67, მილონი — ოლიმპიაკოსი 91:102, მაკედონიკოსი — პანათინაიკოსი 77:86, მარუსი — პაოკ 60:56, დაფნი — პანიონიოსი 84:90

პერისტერი	20	18	2	1607:1412	38
ოლიმპიაკოსი	20	17	3	1683:1475	37
აეკ	20	16	4	1676:1494	36
პანათინაიკოსი	19	16	3	1597:1368	35
პანიონიოსი	20	12	8	1731:1578	32
ირაკლისი	20	12	8	1664:1657	32
პაოკ	20	10	10	1470:1516	30
მარუსი	19	9	10	1620:1589	28
ირაკლიონი	20	8	12	1659:1743	28
ნიარ ისტი	20	6	14	1566:1674	26
არისი	20	6	14	1528:1664	26
დაფნი	20	5	15	1572:1667	25
მილონი	20	3	17	1610:1882	23
მაკედონიკოსი	20	1	19	1503:1767	21

საფრანგეთი

მწვანეები არ გაწითლდნენ

XXII ტური

ლე მანი — გრაველინი 97:111, სტრასბური — ლე ავრი 87:80, ვილერბანი — მონპელიე 86:81, ბეზანსონი — რასინგი 75:99, დიჟონი — ნანსი 85:69, პო ორტეზი — შალონი 73:68, ანტიბი — ევრე 95:60, ბურგი — შოლე 85:78

საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მიმოხილვა ტრადიციულად ლიდერის მატჩით დავიწყოთ. „ვილერბანი“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „მონპელიეს“ ხვდებოდა, რომელიც პრო A-ში უსუსტესი დაცვითაა განთქმული და ამიტომაც „მწვანეების“ იოლი გამარჯვება იყო მოსალოდნელი. თუმცა მატჩი სულ სხვაგვარი სცენარით წარიმართა და მასპინძლებს ბოლო მეოთხედში ბევრი ოფლის ღვრა დასჭირდათ მოსაგებად.

„ვილერბანი“ ნამდვილად არ ელოდა „მონპელიესგან“ დიდ წინააღმდეგობას და თავიდან გაკვირვებული ადევნებდა მეტოქეს თვალს. მონპელიელთაგან საუკეთესო გამთამაშებელი კერტის მაკკენტი (30 ქულა) იყო. მისი წყალობით ზღვისპირელები თავიდანვე დაწინაურდნენ (7:1 მე-2 წუთზე, 16:10 მე-6-ზე) და საწყისი მეოთხედიც მოიგეს (25:14).

მეორე ათწუთეულში ჯეფ მარტინესმა ზედიზედ ორჯერ ივარგა და სტუმრები 16 ქულით (35:19) გაიჭრნენ წინ. ამ დროს „ასტრობალში“ თავმოყრილი 5 ათასი ქომაგის ღრიანცელმა როგორც იქნა, გამოაფიზხლა ვილერბანელები და მათაც საქმეს მიხედეს. ტაიმის ბოლო ხუთ წუთში მასპინძლებმა მოწინააღმდეგეს 24:7 ავჯობეს, რაც ლორან პლუვის დამსახურებაა და შესვენებაზე წინ უკვე „ვილერბანი“ იყო (43:42). მა[illegible] ბოლო მეოთხედის დაწყებამდე ისევ „მონპელიე“ დაწინაურდა (58:57) და საფინალო სირენამდეც ინარჩუნებდა გამარჯვების შანსს, მაგრამ „მწვანეებმა“ ბოლოს საჯარიმოები ზუსტად ტყორცნეს და სირცხვილისგან გაწითლებას გადაურჩნენ.

ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მიითვალა „პო ორტეზმა“, რომელიც „შალონს“ დაუპირისპირდა. ამ შეხვედრის ბედიც დასასრულისას გადაწყდა, აქაც მასპინძლების სასარგებლოდ და აქაც საჯარიმოების წყალობით. პოელებმა მიყოლებით ექვსი საჯარიმო ჩააგდეს და პირველი ოთხეულისთვის მებრძოლი ერთ-ერთი მთავარი მოწინააღდეგე ფაქტობრივად გზიდან ჩამოიშორეს. ახლა ძნელი წარმოსადგენია, „პო ორტეზი“ ოთხეულის მიღმა დარჩეს და პლეი ოფის პირველ რაუნდში საკუთარი მოედნის უპირატესობა ვერ მოიპოვოს. „შალონმა“ საპორტას თასის ნახევარფინალში ვალენსიაში რომ სენსაცია მოახდინა, პოშიც სურდა თავის გამოჩენა და თამაში ძლიერადაც დაიწყო.

თუმცა არც მასპინძლები აპირებდნენ რაიმეს დათმობას და ამიტომაც შეხვედრა ქულა-ქულაში წარიმართა. ანგარიშში მაქსიმალური სხვაობა მე-18 წუთზე დაფიქსირდა, როცა ბეარნელები 32:26 დაწინაურდნენ. ოღონდ ტაიმის ბოლომდე „შალონმა“ ჩამორჩენის მინიმუმამდე დაყვანა შეძლო (35:34). ვერც შესვენების შემდეგ შეძლო რომელიმე მხარემ მატჩის ბედის ვადამდე გადაწყვეტა, მერე კი მასპინძლებს უფრო გაუმართლათ.

ტურის სენსაცია უდავოდ „გრაველინის“ ლე მანში გამარჯვება იყო. მასპინძლებს კაპიტანი ჯეკსონი აკლდათ და წაგების ერთ-ერთ მიზეზად ესეც დაასახელეს. სტუმრებმა განსაკუთრებით ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში დაჩაგრეს მოწინააღმდეგე (35:24) და შესაბამისად ახლო დისტანციებიდანაც უფრო მეტი სროლა ჩაუგდეს. თავიდან ალექსანდერის (24 ქულა) და მილერის (11) მეცადინეობით გრაველინელები დაწინაურდნენ, მაგრამ ტაიმის ბოლო მონაკვეთი ლემანელებმა 14:2 მოიგეს და წინაც გავიდნენ (44:41).

შესვენების შემდეგ თავიდან თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მესამე მეოთხედის დასასრულს კი სტუმრებმა 12:0 ავჯობეს მეტოქეს, 71:60 დაწინაურდნენ და მატჩის სადავეებიც ხელიდან აღარ გაუშვიათ.

გაჭირვებით მოუგო „სტრასბურმა“ „ლე ავრს“. ალზასელებმა მოწინააღმდეგე სათანადოდ არ შეაფასეს და კინაღამ დაისაჯნენ. ისინი მალე დაწინაურდნენ. 29-ე წუთზე „სტრასბური“ 68:53 იგებდა, თუმცა მერე მიშელ გომესის შეგირდები დიდებულად ათამაშდნენ და საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე 72:71 დაწინაურდნენ. ბოლო წუთები კი სტრასბურელი ჯენინგსისა იყო, რომელსაც მანამდე ტუჩი გახეთქოდა და ექიმებს მისთვის სამი ნაკერის დადებაც მოესწროთ. ჯენინგსმა თავისი მონაგარი უკანასკნელ წუთებში 17 ქულამდე გაზარდა და თავისიანებს 7 ქულით გაამარჯვებინა.

გაბი გურული

ვილერბანი	22	21	1	1859:1545	43
პო ორტეზი	22	16	6	1805:1609	38
სტრასბური	22	15	7	1803:1661	37
ლე მანი	22	15	7	1877:1781	37
შალონი	22	13	9	1598:1545	35
დიჟონი	21	13	8	1623:1498	34
ნანსი	22	12	10	1731:1699	34
რასინგი	22	12	10	1682:1656	34
შოლე	22	10	12	1747:1713	32
ანტიბი	22	10	12	1746:1729	32
ბურგი	22	8	14	1665:1778	30
მონპელიე	22	7	15	1779:1954	29
გრაველინი	20	8	12	1681:1706	28
ევრე	22	5	17	1677:1894	27
ლე ავრი	21	5	16	1576:1826	26
ბეზანსონი	22	4	18	1581:1836	26

☎ (231) 7 17 58

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული

რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.

საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ²

პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

თურქეთი

XXIII ტური

ალთაი — ტელეკომი 77:96, ეფესი — ფენერბაჰჩე 84:70, ქარშიაქა — ანტბირლიკი 102:94, ბეშიქთაში — ტროი 72:88, დარუშაფაკა — მაიდენოსი 85:58, ქოზბასანი — გალათასარაი 74:91

ბუიუქ კოლეჯი 81:87 ულქერი

ბუიუქ კოლეჯი: ადიგიუზელი (4), კარი (26), ვესონი (18), ურჯუ (5), ოზკაპიჩი (5), გირგინი, უსანმაზი, ბოზქურთი, მილიჩევიჩი (23)

ულქერი: ლოლისი (16), ბენდლოგტენი (6), გოლიოვიჩი (20), ერდენაი (16), გიულერი, აჩიკი (10), გონლუმი, ილდირიმი (16), სარიჯა (3)

ულქერი	23	19	4	2071:1765	42
დარუშაფაკა	23	19	4	1860:1640	42
ეფესი	23	19	4	1999:1744	42
ტელეკომი	23	17	6	1973:1825	40
ფენერბაჰჩე	23	15	8	1907:1788	38
ბეშიქთაში	23	13	10	1914:1842	36
ტროი	23	12	11	1962:1927	35
ქარშიაქა	23	10	13	1989:2015	33
გალათასარაი	23	9	14	1756:1784	32
მაიდენოსი	23	8	15	1763:1817	31
ქოზბასანი	23	8	15	1858:2049	31
ბუიუქ კოლეჯი	23	7	16	1881:1946	30
ანტბირლიკი	23	3	20	1793:2229	26
ალთაი	23	2	21	1731:2086	25

იტალია

XXIX ტური

აეროპორტი — ფორტიტუდო 80:68, სნაიდერო — ბენეტონი 95:103, ადეკო — მიულერი 87:76, სკავოლინი — რეჯანა 95:90, სიენა — ტრიესტი 97:85, მონტეკატინი — ვარეზე 91:87, აველინო — რიმინი 86:76, კინდერი — კანტუ 87:66, იმოლა — კორდივარი 90:82

კინდერი	29	25	4	2561:2149	54
ფორტიტუდო	29	20	9	2311:2097	49
სკავოლინი	29	20	9	2544:2347	49
ბენეტონი	29	20	9	2491:2334	49
აეროპორტი	29	20	9	2402:2305	49
სიენა	29	16	13	2375:2313	45
კორდივარი	29	14	15	2347:2344	43
მიულერი	29	14	15	2644:2678	43
სნაიდერო	29	13	16	2431:2449	42
აველინო	29	13	16	2402:2450	42
ადეკო	29	13	16	2464:2602	42
მონტეკატინი	29	12	17	2402:2524	41
ტრიესტი	29	11	18	2276:2375	40
რეჯანა	29	10	19	2462:2551	39
რიმინი	29	10	19	2509:2625	39
კანტუ	29	10	19	2302:2437	39
ვარეზე	29	10	19	2584:2751	39
იმოლა	29	10	19	2485:2666	39

ესპანეთი

XXV ტური

ხირონა — კანარიასი 91:77, ტაუ — ფუენლაბრადა 81:64, პამესა — უნიკახა 81:85, კოსტაბლანკა — კანტაბრია 100:69, ბრეოგანი — რეალი 66:72, ესტუდიანტესი — კახა სან ფერნანდო 75:67, ფორუმი — ხიხონი 70:83, ბარსელონა — ხუვენტუდი 93:70, ორენსე — კასერესი 88:95

ბარსელონა	25	22	3	2228:1900	47
უნიკახა	25	20	5	2145:1920	45
რეალი	25	20	5	1992:1807	45
ტაუ	25	19	6	2136:1845	44
პამესა	25	17	8	2058:1927	42
ესტადიანტესი	25	15	10	2027:1985	40
ფუენლაბრადა	25	14	11	2025:1971	39
სან ფერნანდო	25	11	14	1913:1940	36
კასერესი	25	11	14	1903:1976	36
ფორუმი	24	11	13	1954:1944	35
ხირონა	24	11	13	1901:1908	35
ბრეოგანი	25	9	16	1970:2034	34
კანარიასი	25	9	16	1920:2090	34
ხუვენტუდი	25	8	17	1954:2058	33
კანტაბრია	25	8	17	1827:2101	33
კოსტაბლანკა	25	7	18	1897:2103	32
ხიხონი	25	6	19	1893:2049	31
ორენსე	25	6	19	1890:2075	31

სიდნეიში დაკარგული ჰობარტში დაიბრუნა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავსტრალიელ მოცურავეთა ნაკრების გამწვევი ძალა უახლოესი ათი წლის მანძილზე იან ტორპი იქნება. „ბიჭმა-საოცრებამ“ უმალ დაატყვევა ცისფერი ბილიკების სამყარო. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მან 15 წლის ასაკში ყველაზე ახალგაზრდამ დაიდგა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი. მერე მსოფლიოს რეკორდებსაც გაუშინაურდა. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე კი სამგზის იზეიმა ჩემპიონობა. ასე ვთქვათ, მან მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ერთადერთი, რითაც 18 წლის ყმაწვილს შეუძლია გაგვაოცოს, ეს თავისებური მსოფლიოს რეკორდები თუ იქნება. „ტორპედოს“ უნივერსალურობაზე მიუთითებს მის მიერ ორშაბათს 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დამყარებული მსოფლიოს რეკორდიც. მთავარი კი ის არის, რომ ეს მისთვის უჩვეულო დისტანციაზე შეძლო — 800 მეტრზე პირველად იასპარეზა და ეგრევე მსოფლიოს რეკორდი და ავსტრალიის ჩემპიონობა მოიპოვა.

მოგეხსენებათ, ავსტრალიელთა კერპი ამგვარ წარმატებებს მისთვის ჩვეულ სპრინტერულ დისტანციებზე — 100, 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვისას აღწევდა. ახლა მან დაამტკიცა, რომ გრძელი დისტანციების დაპყრობაც ხელეწიფება, თუმც განაცხადა, რომ თავს კვლავაც სპრინტერად მიიჩნევს.

სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიურ, მსოფლიო თუ თანამეგობრობის თამაშებზე 800 მეტრზე ვაუებს შორის ასპარეზობანი არასდროს გამართულა. ამჯერად სხვაგვარადაა. ფუკუოკას მსოფლიოს მე-9 ჩემპიონატის პროგრამაში ზემოხსენებულ დისტანციაზე ვაუებიც გაეჯიბრებიან ერთმანეთს. ასე რომ, ტორპს ბრწყინვალე შანსი აქვს, იქ წარმატების შემთხვევაში ისტორიაში შევიდეს, როგორც 800 მეტრზე ასპარეზობის პირველი ჩემპიონი. მანამდე კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ჰობარტიდან

იან ტორპი მსოფლიოს რეკორდის დამყარების შემდეგ

ავსტრალიის ეროვნული ჩემპიონატი, რომელსაც ტასმანიის დედაქალაქი ჰობარტი მასპინძლობს, იან ტორპის მორიგი მსოფლიოს რეკორდის მომსწრე შეიქნა. ტატერსოლის საწყლოსნო ცენტრში 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ფინალური გაცურვისას ტორპმა თავისი მსოფლიოს მე-13 რეკორდი დაამყარა. „ბიჭმა-საოცრებამ“ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰოგენბანდის მიერ ჩამორთმეული პლანეტის საუკეთესო შედეგი (1.45,35) უკან დაიბრუნა — 1.44,69.

„მინდოდა, საკუთარი თავი დამერწმუნებინა იმაში, რომ 800 მეტრის შემდეგაც იგივეს შევძლებდი 200 მეტრზე, თუმც ასეთ შედეგს არ მოველოდი“ — განაცხადა ტორპმა.

გიგა გურასაშვილი

მსოფლიოს თასი სწრაფ ჭადრაკში

უცნაური ბოლო

კანში სწრაფი ჭადრაკის მსოფლიო თასის გათამაშება დასრულდა. იგი გარი კასპაროვმა მოიგო. ფინალში მისი მეტოქე ევგენი ბარეევი იყო, რომელმაც ადრეული პარტიები ჯგუფში, მეოთხედ და ნახევარფინალებიც აღმავლობით ჩაატარა და, რაც მნიშვნელოვანია, სხვებზე კლასით ბევრად აღმატებული ჭადრაკი ითამაშა. მხოლოდ ერთი პარტია წააგო ბარეევმა, ისიც კასპაროვთან და რევანშის შანსი მშვენიერ დროსა და სიტუაციაში მიეცა. ფინალში, წინა ეტაპების მსგავსად, ორი პარტია იყო დაგეგმილი და თუ იქ ვერაფერი გაირკვეოდა, მხარეები ბლიცებს ითამაშებდნენ.

ბლიცებამდე საქმე არ მისულა. პირველ პარტიაში თეთრებით მოთამაშე ბარეევმა ღირებული ვერაფერი გააკეთა და ყიმს დასჯერდა, მეორეში კი მეტოქისგან თავდასაცავად ფრანგული დაცვის ეკრეთ წოდებულ იზოლატორის ვარიანტს მიმართა, რაშიც, ექსპერტთა თქმით, ბარეევი მხეცია. პარტია სწრაფად დაქანდა ენდშპილისკენ, რაც თავიდან უფრო კასპაროვს აძლევდა ხელს, რათა განმხოლოებული შავი პაიკის სისუსტით ესარგებლა, მაგრამ გაცვლათა ინერცია იმხელა გამოდგა, მალე დაფაზე მხოლოდ მეფეები და პაიკები დარჩნენ. 29-ე სვლის ამბავს გეუბნებით და იმის შემდეგ კასპაროვ გულმოდგინედ ცდილობდა თითქმის საყაიმო პოზიციის მოგებას. 44-ე სვლამდე მხარეებმა ერთმანეთს კიდევ 2-2 პაიკი მოუკლეს და 4-4 დარჩათ. 44-ე სვლისთვის ყველაფერი მშვიდობიან დასასრულს მოასწავებდა. კასპაროვის პაიკი მხოლოდ წამით ასწრებდა გადედოფლებას ბარეევისას, მაგრამ პარტიის ანგარიში ასეთი მოვიდა — 10. ვერ გავიგეთ, რა მოხდა, ბარეევს ალამი ჩამოუვარდა თუ სიტუაციაში ვერ გაერკვა და დანებდა. ყოველ შემთხვევაში, თასი კასპაროვს დარჩა და თუ კანში რამე სკანდალური მოხდა, ალბათ, შევიტყობთ.

დავით გულუა

მონაკოში ტრიუმვირატი აღდგა

თითქმის გაირკვა, რომ ამბერის სწრაფი და დაფაზე დაუხედავი ჭადრაკის ტურნირზე სამი ფავორიტია და სხვები — მაჩანჩალები. ჩემპიონთა დუელს მერვე ტურში ვესელინ ტოპალოვიც მიემატა. ეს ტრიუმვირატი უახლოეს მდევარს 2 ქულით უსწრებს. გუშინ დასვენების დღე იყო და ტურნირის დამთავრებას სამი ტური უკლია.

მერვე ტურში რიგიანი პარტიები ბლომად იყო და ერთი ტრაგედიაც დატრიალდა. ჩქარი ჭადრაკის პარტია ვლადიმირ კრამნიკმა ვასილი ივანჩუკს მოუგო. დებიუტშივე ცხადი გახდა რუსის უპირატესობა და უკრაინელის კიდევ ერთი ჩავარდნა მომწიფდა. ივანჩუკმა ვერ გადაჭრა პოზიციური პრობლემები, ენდშპილამდე სული გაჭირვებით მიიტანა და იქ რომ ცუგცვანგში მოექცა, მერე დანებდა. გვერდზე ტოპალოვს ბებერი ექსჩემპიონი კარპოვი გამოეჭირა და იმას ხუთავდა. სასარგებლო გაცვლების შემდეგ ბულგარელის თეთრები მოქნილად დაეწყვნენ ბოლო შეტევისთვის, რომლის იდეაც ლაზიერების ხეირიანი გაცვლა იყო, რასაც უეჭველად მატერიალური საზღაური უნდა მოჰყოლოდა. ტოპალოვმა მოიგო. ქულები დაიწერეს აგრეთვე ჯეროენ პიკეტმა ლიუბომირ ლიუბოევიჩთან და ზოლტან ალმაშმ პეტერ ლეკოსთან უნგრულ დერბიში. ალექსეი შიროვი თეთრებით ბორის გელფანდს შეხვდა და ვერ მოერია. ვიშვანათან ანანდს დაცვაში დგომამ მოუწია ლუკ ვან გელთან შავებით ნათამაშევ პარტიაში და ბრძოლის შემდეგ ნახევარი ქულა დაითრია, ხოლო მონიტორთან მიმჯდარმა ძლიერ დამაჯერებლად გაიმარჯვა. ვან გელიმ პროვოკაციულად ფიგურა მიაჩეჩა მეტოქეს. ანანდმა მსხვერპლი შეყლაპა, მერე კი საუკეთესო სვლები იპოვა და 30 სვლაში დასვა წერტილი. ლეკომ ალმაშის რევანში აუღო, ივანჩუკი და კრამნიკი ჩქარა ყიმზე შეთანხმდნენ, ლიუბოევიჩი და პიკეტიც ასევე, ტოპალოვმა კი კარპოვს მეორე პარტიაც მოუგო.

ცენტრალური ამბავი გელფანდისა და შიროვის პარტიაში მოხდა. ებრაელმა სოლიდური თამაშით მოსაგები ენდშპილი მიიღო. მას ეტლი და ორი პაიკი ჰყავდა, შიროვს მხოლოდ ეტლი და უცებ გელფანდმა მეტოქეს ეტლი მისცა, რასაც მხოლოდ დაფაზე დაუხედაობით თუ ავხსნით და ესეც უსუსტესი არგუმენტია.

დავით გულუა

ვითარება 8 ტურის შემდეგ
1-3. ანანდი, კრამნიკი, ტოპალოვი 11; 4. ლეკო 9; 5. შიროვი 8,5; 6. პიკეტი 8; 7. ლიუბოევიჩი 7; 8-9. ალმაში, გელფანდი 6,5; 10-11. ივანჩუკი, კარპოვი 6; 12. ვან ველი 5,5



ბილ ჯონსონმა ბოძები დაამტვრია და თვითონაც დაიმტვრა

ჯონსონი ჯერაც კომაშია

მონტანას შტატში, ამერიკის სამთოსათხილამურო პირველობის წინადღეს საშინლად დაეცა 40 წლის ბილ ჯონსონი, რომელიც 1984 წლის სარაევოს ოლიმპიადაზე სწრაფდაშვების მოგებითაა ცნობილი. ჯონსონი სწრაფდაშვებაში ვარჯიშობდა, რადგან სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ზამთრის თამაშებისთვის ამერიკის ნაკრებში მოხვედრა ჰქონია განზრახული. დაშვებისას მოთხილამურეს მარჯვენა თხილამური მოუსრიალდა და რომ დაეცა, თავი ჯერ მიწას დაარტყა მთელი სიმძლავრით, მერე კი უსაფრთხოების ბადის ძელს შეასკდა. ჯონსონი სასწრაფოდ კალიპელის რეგიონალურ სამედიცინო ცენტრში წაიყვანეს და ტვინზე 4-საათიანი ოპერაცია გაუკეთეს. მას შემდეგ 4 დღე გავიდა, ჯონსონი კი კომიდან ვერ გამოსულა, თუმცა ექიმთა ბოლო განცხადებებით, ოპტიმიზმის საფუძველი უკვე არსებობს.

„აღდგენითი პროცესები დაიწყო“ — თქვა ჰოსპიტალის სპიკერმა ჯიმ ოლივერსონმა გუშინწინ, ხოლო დოქტორმა კეიტ ლარამ უფრო კონკრეტული სურათი დახატა: „მისი ორგანიზმი მზად იყო ამხელა გამოცდისთვის, ჯონსონი უკვე რეაგირებს ტკივილზე და სხეულის მარცხენა მხარესაც ხანდახან ამოძრავებს. აღდგენითი პროცესი ნელა, მაგრამ შეუქცევადად მიმდინარეობს და ეს იმედს გვაძლევს“.

მაგრამ, განაცხადა ნახსენებმა ოლივერსონმა ჟურნალისტებთან საუბრის მიწურულს, ჯერ საბოლოო დადებითი დასკვნები ნაადრევიაო. მისი თქმით, პაციენტი საავადმყოფოში იმდენად ცუდ დღეში მყოფი მიიყვანეს, რომ ჯერაც ფრთხილ მოპყრობასა და დიდ ყურადღებას მოითხოვს.

სარბიელი

სპორტული ლატარია კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

28 მარტი

22.00	022	ცვოლე-კამბური	1,55	3,4	5,6
22.00	023	ტელსტარი-ვოლენდამი	2,4	3,2	2,5

ბელგია. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები

28 მარტი

23.00	026	ლომელი-გენკი	2,4	3,1	2,6

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

28 მარტი

20.00	503	რუსეთი-ფარერები	1,05	8,0	16,0
	504	რუსეთი-ფარერები 0:3	1,8	4,0	2,4
20.00	505	ბულგარეთი-ჩრდ. ირლანდია	1,35	3,8	7,0
	506	ბულგარეთი-ჩრდ. ირლანდია 0:1	2,0	3,0	2,4
20.00	507	სლოვაკეთი-აზერბაიჯანი	1,1	6,0	12,0
	508	სლოვაკეთი-აზერბაიჯანი 0:2	1,8	4,0	2,4
20.00	509	საქართველო-რუმინეთი	ანგარიში - 5,0		
21.00	510	კვიპროსი-ესტონეთი	1,65	3,4	5,6
21.30	511	ანდორა-ირლანდია	12,0	6,0	1,1
22.00	512	პოლონეთი-სომხეთი	1,15	5,6	10,0
	513	პოლონეთი-სომხეთი 0:2	1,8	4,0	2,4
22.00	514	ბელარუსი-ნორვეგია	3,3	3,1	1,95
23.00	515	მოლდოვა-შვედეთი	6,0	3,5	1,45
23.00	516	მაკედონია-თურქეთი	4,2	3,1	1,75
23.00	517	ლიხტენშტაინი-ბოსნია	7,5	4,0	1,25
23.15	518	შვეიცარია-ლუქსემბურგი	1,05	8,0	16,0
	519	შვეიცარია-ლუქსემბურგი 0:3	1,8	4,0	2,4
23.15	520	სლოვენია-იუგოსლავია	2,7	3,0	2,4
23.15	521	ჩეხეთი-დანია	1,65	3,1	5,3
23.30	522	უელსი-უკრაინა	4,2	3,1	1,75
23.30	523	ავსტრია-ისრაელი	1,6	3,2	5,6
23.30	524	ალბანეთი-ინგლისი	6,5	3,6	1,35
23.30	525	საბერძნეთი-გერმანია	3,2	3,1	2,1
23.45	526	იტალია-ლიტვა	1,1	6,0	12,0
	527	იტალია-ლიტვა 0:2	1,7	4,0	2,6
24.00	528	შოტლანდია-სან მარინო	1,01	15,0	30,0
	529	შოტლანდია-სან მარინო 0:3	1,75	4,0	2,5
01.00	530	პორტუგალია-ჰოლანდია	1,95	3,0	3,6
01.00	531	ეკვადორი-ბრაზილია	4,4	3,0	1,75
03.30	532	ურუგვაი-პარაგვაი	1,8	3,0	4,2
05.30	533	არგენტინა-ვენესუელა	1,05	8,0	16,0

ამხანაგური მატჩი

28 მარტი

00.30	534	ესპანეთი-საფრანგეთი	2,2	2,9	3,2

შესარჩევი მატჩი (21 წლამდე)

28 მარტი

16.00	567	მოლდოვა-შვედეთი	5,0	3,4	1,6

I ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2

მჩ შესარჩევი მატჩები

28 მარტი

602	მაკედონია-თურქეთი	6,3	12,0	20,0	7,5	5,0	3,6	25,0	12,0	2,8
603	სლოვენია-იუგოსლავია	4,0	10,0	20,0	5,3	4,4	4,7	20,0	10,0	3,6
604	ჩეხეთი-დანია	2,5	12,0	30,0	3,4	5,3	9,0	20,0	10,0	8,0
605	ავსტრია-ისრაელი	2,3	14,0	30,0	3,3	5,3	10,0	20,0	12,0	9,0
606	საბერძნეთი-გერმანია	5,0	10,0	15,0	6,5	5,0	4,2	25,0	10,0	3,1
607	პორტუგალია-ჰოლანდია	3,0	10,0	25,0	4,0	5,0	6,5	18,0	10,0	5,6
608	ურუგვაი-პარაგვაი	2,9	12,0	25,0	3,6	4,7	7,5	20,0	10,0	6,5

კალათბურთი

28 მარტი

04.30	808	ნიუ ჯერსი-დენვერი	1,7	12,0	1,7
05.00	809	ფილადელფია-ორლანდო	1,15	12,0	4,0
06.00	810	ფინიქსი-კლივლენდი	1,1	12,0	5,0
07.00	811	პორტლენდი-დალასი	1,4	12,0	2,3
07.00	812	სიეტლი-მინესოტა	1,5	12,0	2,0
07.30	813	ლეიკერსი-საკრამენტო	1,35	12,0	2,5

29 მარტი

04.00	814	ვაშინგტონი-გოლდენ სტეიტი	1,35	12,0	2,5
04.30	815	ატლანტა-ინდიანა	2,0	12,0	1,5
05.00	816	მილუოკი-მაიამი	1,35	12,0	2,5
05.00	817	სან ანტონიო-იუტა	1,4	12,0	2,3
05.30	818	ჩიკაგო-ბოსტონი	3,1	12,0	1,2
05.30	819	ჰიუსტონი-ფინიქსი	1,7	12,0	1,7
07.00	820	ვანკუვერი-ნიუ იორკი	3,1	12,0	1,25

კალათბუროი. ევროლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩები

28 მარტი

22.00	830	აეკ-ტაუ	1,35	12,0	2,5

ჰოკეი

28 მარტი

04.00	905	ვაშინგტონი-კაროლინა	1,65	4,0	2,8
04.00	906	რეინჯერსი-აილენდერსი	1,5	4,0	3,4
04.00	907	ტორონტო-ბოსტონი	1,6	4,0	3,0
04.30	908	ატლანტა-ნიუ ჯერსი	2,7	4,0	1,7
04.30	909	ფლორიდა-მონრეალი	1,9	4,0	2,3
04.30	910	დეტროიტი-სენტ ლუისი	1,65	4,0	2,8
05.00	911	მინესოტა-ფინიქსი	2,7	4,0	1,7
05.30	912	ჩიკაგო-ოტავა	2,4	4,0	1,85
07.00	913	ედმონტონი-კოლორადო	2,1	4,0	2,1
07.00	914	ვანკუვერი-დალასი	1,9	4,0	2,3

29 მარტი

04.30	915	აილენდერსი-რეინჯერსი	2,1	4,0	2,1
04.30	916	ფილადელფია-ტორონტო	1,65	4,0	2,8
04.30	917	პიტსბურგი-ჩიკაგო	1,5	4,0	3,4
04.30	918	ტამპა ბეი-მონრეალი	1,9	4,0	2,3
05.00	919	ნეშვილი-ფინიქსი	2,1	4,0	2,1
06.00	920	კალგარი-კოლორადო	2,7	4,0	1,7
07.30	921	ლოს ანჯელესი-კოლუმბუსი	1,35	4,0	5,0
07.30	922	სან ხოსე-ანაჰაიმი	1,35	4,0	5,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
თბილისი	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ზე-12. V ტური

ზვიგენებმა შინ ყველა მოინელეს



კრაისტჩერჩი — ბრისბენი. მასპინძელთა დამრტყმელი ენდრიუ მერთენსი (ზურთით) ისევ ძველებურად ურტყამს

კრაისტჩერჩი 32:26 ბრისბენი

კრაისტჩერჩი: 3 ლ: სოალო, მარშალი, მაკდონალდი; 1 გ: მერთენსი; 5 ს: ბლეირი
ბრისბენი: 2 ლ: რაულუნი, უილიამსი; 2 გ: ფლეტლი, სპუნერი; 4 ს: სპუნერი

იოჰანესბურგი 18:15 ველინგტონი

იოჰანესბურგი: 6 ს: კოენი
ველინგტონი: 5 ს: ჰოლუელი

დანიდინი 32:10 პრეტორია

დანიდინი: 4 ლ: ლეინი (2), როპატი, ტუილეეგუ; 3 გ. და 2 ს: ლეინი
პრეტორია: 1ლ: ფან სხალკვიკი; 1 გ. და 1 ს: სტეინი

კანბერა 40:25 კეიპტაუნი

კანბერა: 4 ლ: მორტლოკი, უოლკერი (2), ლარკემი; 4 გ. და 4 ს: მორტლოკი
კეიპტაუნი: 1 ლ: მონტგომერი; 1 გ. და 6 ს: ფან სტრაატენი

დურბანი 42:17 სიდნეი

დურბანი: 5 ლ: ჰალსტედი, სვარტი (3), კეიზერი; 4 გ. და 3 ს: დიუ ტუა
სიდნეი: 2ლ: დოულინგი, საჯარიმო; 2 გ: ჰეინი; 1 ს: დოულინგი

ოკლენდი და ჰამილტონი ისვენებდნენ

ავსტრალიური სიდნეის შინ დამარცხების შემდეგ სამხრეთაფრიკულმა დურანმა ზე-12-ის ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. საინტერესოა, რომ გათამაშების ცხრილის პირველ ოთხეულში არც ერთი ახალზელანდიური გუნდი არ არის. ნახევარფინალში გამსვლელ ადგილებზე ყველაზე მოულოდნელი დურბანელი „ზვიგენების“ გამოჩენაა, რომლებიც ტურნირს დაუმარცხებლად ლიდერობენ. არადა, შარშან მან მხოლოდ ერთი მატჩის მოგება მოახერხეს და ბოლო ადგილიც არავის დაანებეს.

ამ სეზონში „ზვიგენებს“ მადა მიეცათ და ფინალურ სტადიაზე გასვლაც ამოუჭრიათ გულში. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ აქამდე ყველა მეტოქეს უმასპინძლეს, მომავალი ტურიდან კი სტუმრობასაც გაუგებენ გემოს და დარჩენილ ექვს შეხვედრას მოწინააღმდეგეთა მოედნებზე ჩაატარებენ. მიუხედავად ამისა, დურბანი უკვე შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტად მოიაზრება, რადგან ორი ისეთი ძლიერი გუნდის დაჯაბვნა შეძლო, როგორებიც სიდნეი და შარშანდელი ფინალისტი კანბერა არიან.

მთელი მატჩის განმავლობაში ინიციატივას სამხრეთაფრიკელები ფლობდნენ. სიდნეი მხოლოდ თავდაცვით იყო დაკავებული და იშვიათი კონტრშეტევების იმედად აპირებდა ფონს გასვლას. თუმცა ავსტრალიელები ძალიან ბევრ შეცდომებს უშვებდნენ და მეტოქემაც ეს არ აპატია. შესვენებამდე მასპინძლებმა სამი ლელო გაიტანეს და პრემიალური ქულის მოხვეჭამდე სტუმართა ერთხელ დალელოვებაღა აკლდათ. მეორე ორმოცწუთიანი პირველის მსგავსად ანუ დურბანის უპირატესობით დაიწყო. თუმცა ავსტრალიელებმა ერთი მანც გაბრძოლეს და დოულინგის ლელოთი ანგარიშში სხვაობაც შეამცირეს. ოღონდ აფრიკელები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ და სვარტის დუბლით, რომელმაც მთლიანად მატჩში ჰეთ თრიქი გაახერხა, საბოლოოდ გატეხეს მოწინააღმდეგე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიდნეის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მათ შორის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი მეტიუ ბერკი აკლდა. თუმცა ეს ასეთი ანგარიშით მარცხს მანც არ ამართლებს, რაც მთავარმა მწვრთნელმა ბობ დვაიერმაც აღნიშნა: „გულახდილად ვიტყვი, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ იძულებითი ცვლილებები ასე შეცვლიდა ჩვენს თამაშს. მეგონა, საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა მყავდა და თამაშის დაწყებამდე თავდაჯერებულიც ვიყავი. მერე კი საშინლად შევრცხვით. ჩემი მორაგბეები ბურთს ვერც იჭერდნენ და ვერც ზუსტ პასებს აკეთებდნენ“ — განაცხადა „ვოლაბებთან“ ერთად 1991 წელს მსოფლიოს თასის მომგებმა დვაიერმა.

მეორე ადგილზე ავსტრალიური კანბერა აღზევდა, რომელმაც შინ სამხრეთ აფრიკის კეიპტაუნი დაჯაბნა. მწვანე კონტინენტის ნაკრების შერკინების ნახევარმცველის, ჯორჯ გრეგანის თანაგუნდელები ლამის ყოველი მოგებისას პრემიალურ ქულასაც იხვეჭენ და ამიტომ დურბანს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან. შაბათ საღამოს კანბერელები ძალიან კარგად გაისარჯნენ. ისინი სწრაფად, ძლიერად და ზუსტად თამაშობდნენ და კეიპტაუნიც გადათელეს. ორი ლელო შარშანდელი სეზონის საუკეთესო მელელოვე უოლკერის ანგარიშზეა. მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო ახალტრავმამოშუშებული „ვოლაბი“ სტივენ ლარკემი, რომელმაც თავისიანების ბოლო და პრემიალური ლელო გაიტანა.

ამ ტურში კიდევ ერთი უცნობილესი მორაგბე დაუბრუნდა თავის გუნდს, ახალზელანდიელი ენდრიუ მერთენსი, ურომლისოდაც კრაისტჩერჩი ნახევარგუნდი იყო. პარასკევ ღამით „ჯეიდ სტედიუმზე“ თავმოყრილი ქომაგები თავიანთი ჯილის მინდორზე გამოსვლამ უზომოდ გაახარა და მიუხედავად იისა, რომ მერთენსი მხოლოდ ორი ქულით შეეწია კრაისტჩერჩს, მისი ქომაგები მაინც უზომოდ კმაყოფილნი იყვნენ.

მასპინძლებმა პირველი ნახევარი მინიმალური უპირატესობით 11:10 მოიგეს და რომ არა მერთენსი, მეორეშიც გაუჭირდებოდათ. „ძალიან სასიამოვნოა კვლავ თამაში სათადარიგოთა სკამზე ამდენი ხნის ჯდომის შემდეგ“ — თქვა კრაისტჩერჩის დამრტყმელმა და შეტევების სულისჩამდგმელმა. თუმცა მერთენსს ამ შეხვედრაში თავისი ძირითადი ფუნქცია მთლიანად ისევ არ უკისრია და საჯარიმოთა შესრულებას ის მაინც ბლეირს ანდობდა.

მერთენსზე არანაკლებ ძლიერად ითამაშეს ბლეკედერმა და სომერვილმა. განსაკუთრებით კი ლეონ მაკდონალდმა, რომლის 75-ე წუთზე გატანილმა ლელომაც სტუმრებს მატჩის გადარჩენის ბოლო იმედიც მოუსპო (32:19). დაბოლოს, იმის თქმაც აუცილებელია, რომ შეხვედრამ ძალიან კორექტულად ჩაიარა და მსაჯს მორაგბეებისთვის ერთი გაფრთხილების მიცემაც კი არ დასჭირვებია.

მოწინავე ოთხეულში დურბანის გარდა კიდევ ერთი სამხრეთაფრიკული გუნდია — ოიჰანესბურგი. „კატებს“ უკვე ოთხი მოგება დაუგროვდათ და ვინაიდან კიდევ ორი მატჩი შინ აქვთ გასამართი, ნახევარფინალში გასვლას ანუ მინიმუმ შარშანდელი შედეგის მიღწევას ნამდვილად შეეცდებიან. ამ ტურში იოჰანესბურგმა ახალი ზელანდიის ველინგტონი დაამარცხა, რომელიც თავისი უკანა ხაზით არის განთქმული. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, რადგან კრისტიან კალენის, ტანა უმაგასა და ჯონა ლომეს დარი მობურთალების ყოლა ნებისმიერი გუნდის ოცნებაა. ოღონდაც ამჯერად ამ „ჯადოსნურმა სამეულმა“ გვარიანი სირცხვილი ჭამა, რადგან ერთი ლელოს გატანაც ვერ მოახერხა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი სტუმართა დამრტყმელი დევიდ ჰოლუელი იყო, რომელიც ძალიან ჭკვიანურად და ზუსტად ირჯებოდა. მან ექვსი ცდიდან მხოლოდ ერთი გააცუდა, რაც კუნძულელთა სამწუხაროდ, დასამარცხებლად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რადგან მეტოქე ბანაკიდან ლუის კოენმა ექვსი საჯარიმო შეაგდო.

ტურის ბოლო მატჩი დანიდინსა და პრეტორიას შორის გაიმართა. „ხარები“ შარშანდელივით უსუსურად გამოდიან და ზედიზედ მეხუთე მარცხიც იწვნიეს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ გასული სეზონისგან განსხვავებით, პრეტორია ამჯერად გაცილებით უკეთ თამაშობს და უკვე ორი პრემიალური ქულაც მოიხვეჭა.

დანიდინი კი ნელ-ნელა შედის ფორმაში და პირველ ოთხეულში მოხვედრაზეც უეჭველად დიდ ბრძოლას გააჩაღებს. ამჯერად „მთიელთაგან“ საუკეთესო ბრენდენ ლეინი იყო, რომელიც მშვენივრად ურტყამდა, გამუდმებით ბოჭავდა მეტოქეთ და ორი ულამაზესი ლელოც გაიტანა. განსაკუთრებით ლეინის პირველი ლელო იყო საამო საცქერი, რომლის მერეც ანგარიში 22:7 გახდა.

მეექვსე ტური მომავალ უქმეებზე გაიმართება და ორი დაძაბული დერბით იქნება გამორჩეული. ავსტრალიაში ბრისბენი კანბერას უმასპინძლებს, სამხრეთ აფრიკაში კი იოჰანესბურგი დურბანს დაუხვდება.

გაგი გურული

დურბანი	5	5	0	0	2	0	158:100	22
კანბერა	5	4	0	1	3	1	165:105	20
იოჰანესბურგი	5	4	0	1	1	1	148:100	18
სიდნეი	5	3	0	2	3	1	168:107	16
დანიდინი	5	3	0	2	1	1	129:127	14
კრაისტჩერჩი	4	2	0	2	1	1	100:105	10
ოკლენდი	4	2	0	2	1	0	80:104	9
ჰამილტონი	4	2	0	2	1	0	100:127	9
ბრისბენი	4	1	0	3	1	3	117:121	8
კეიპტაუნი	5	1	0	4	0	2	106:143	6
ველინგტონი	5	1	0	4	0	1	95:131	5
პრეტორია	5	0	0	5	1	1	84:180	2

მოგებისთვის გუნდებს ერიცხებათ 4 ქულა, ფრისთვის — 2, წაგებისთვის კი არცერთი. მეხუთე გრაფაში 4 ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია.

ხალხთა ოლიმპიადა

პარიზს რეკლამა რად შნდაო

ძნელია გამოიცნო ის ქალაქი, რომელიც ზაფხულის 2008 წლის XXIX ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს, მით უმეტეს, რომ მის მაძიებელთა შორის ხუთი კანდიდატია. მიუხედავად ამისა, ზოგ ექსპერტს ჰყოფნის სითამამე და წინასწარ საზღვრავს მომავალს. ზოგიც დაბნეულია და ერიდება კატეგორიულ განცხადებებს. თუმცა, უმეტესობას მიაჩნია, რომ მოსკოვის 13 ივლისის სოკ-ის სესიაზე პეკინი გაიმარჯვებს, ოპონენტები კი უახლეს ისტორიას იხსენებენ, უფრო სწორად სოკ-ის ბოლო, 1997 წლის არჩევანს.

მაშინ ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ 2004 წლის მასპინძლობისთვის პაექრობაში უდავო ფავორიტი რომი იქნებოდა, მაგრამ, მოხდა ისე, რომ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე საბერძნეთის დედაქალაქმა ბევრად გაიუმჯობესა მდგომარეობა და გადაასწრო კიდეც მარადიულ ქალაქს.

ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ პეკინს ერთის ნაცვლად ორი ძლიერი მეტოქე ჰყავს ტორონტოსა და პარიზის სახით. ამიტომ ნურავის გაუკვირდება, თუ რომელიმე მათგანი ბოლოს დაწინაურდება.

მართლაც, სოკ-ი საკმაოდ რთული ამოცანის წინაშეა. გადაწყვეტილების მიღებისას მას დიდი სიფრთხილე მართებს. თუმცა, ოლიმპიზმის მამებს ეიმედებათ რეფორმატორთა ჯგუფისა, რომლის 17-კაციანი რაზმიც გუშინ ეწვია პარიზს. მანამდე ინსპექტორთა ჯგუფმა, რომელშიც სოკ-ის, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა, სპორტსმენთა თუ სპორტის მიღმა მოღვაწე დამკვირვებლები შედიან, პარიზის მეტოქეები მოინახულა. ესენია: პეკინი, ოსაკა, ტორონტო და სტამბოლი.

კომისიას ხელმძღვანელობს ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (უსი) ჰოლანდიელი პრეზიდენტი ჰეინ ვერბრიუგენი. სოკ-ის კომისართა მიზანია ადგილზე გაეცნონ და შეისწავლონ ამა თუ იმ კანდიდატ ქალაქთა ტექნიკური მზარეები.

ასე რომ, პარიზში სტუმრიანობაა. მთავარი მასპინძელი თავდაჭერილი, თავაზიანი და ძალზე წარმატებული ბიზნესმენი კლოდ ბიბეაა. ფრანგებმა 2008 წლის ოლიმპიადის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტი სწორედ მას ჩააბარეს. მასაც მტკიცედ სწამს, რომ პარიზს მეტოქეებთან შედარებით უპირატესობა გააჩნია. ოფიციოზები იმედოვნებენ, რომ ქალაქის შთამბეჭდავად წარმოჩენა სოკ-ის ინსპექტორთა ჯგუფს მათ შეაბრუნებს. თანაც ბიბეას სჯერა, ოომ პარიზის წარმატების საწინადარი თავად ქალაქშია. ზოგიერთ ჩვენს კოლეგასაც უკვე რომანტიკული ფერებშიც წარმოუდგენია პარიზის შესაძლო ოლიმპიადა.

— დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ პარიზის ოლიმპიადა და რას დაინახავთ? — გვეკითხებიან ისინი და კითხვითვე გვპასუხობენ: პლაჟის ფრენბურთს ეიფელის კოშკის ქვეშ? მარათონელთა რბენას ნოტრ დამის გასწვრივ? თუ ათასობით სპორტის გულშემატკივარს, რომლებიც მსოფლიოში ცნობილი ელისეს მინდვრებში მიმოფანტულან?

მართლაც, იმისთვის, რათა ყველაფერი ეს რეალობად იქცეს, ორგანიზატორთა ძალისხმევა და მარიფათია საჭირო. წარმატების შემთხვევაში კი მათ განუზრახავთ თავი მოუყარონ კულტურულ და ისტორიულ ფასეულობებს. დარწმუნებულიც არიან, რომ პარიზის ოლიმპიადა გადაჭარბებს კიდეც სიდნეის თამაშებს.

გეხსომებათ, სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა სიდნეის ოლიმპიური თამაშები საუკეთესოდ აღიარა.

„ოლიმპიური თამაშები ქალაქის გულში, ქალაქი კი ოლიმპიადის გულში იქნება. ერთმანეთში უჩვეულოდ შერწყმული სპორტი და კულტურა მთელ ამ ღონისძიებას განუმეორებელ ელფერს შესძენს. ჩვენ პარიზს ათლეტთა, სახალხო და მთელ სამყაროს ქალაქად გარდავქმნით. ამავე დროს გავითვალისწინებთ თავად თანაქალაქელთა საჭიროებებსაც“ — განაცხადა „პარიზი 2008“-ის კამპანიის პრეზიდენტმა.

ეტყობა, ფრანგები ერთგულობენ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის ბარონ პიერ დე კუბერტენის იდეებსა და პრინციპებს. ფრანგ ბარონს კულტურა და სპორტი ხომ განუყოფელ მცნებებად მიაჩნდა. ამიტომაც იყო, რომ მისი პრეზიდენტობისას სპორტული ასპარეზობების პარალელურად კულტურული ოლიმპიადებიც იმართება. გარდა ამისა, კუბერტენი ოლიმპიური თამაშების კომერციალიზაციის წინააღმდეგაც გამოდიოდა. ფრანგები აქაც მისი ერთგულნი რჩებიან.

„ჩვენ ოლიმპიადის მასპინძლობისთვის თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის იდეალები გვამოძრავებს და არა ბიზნესისა და პოლიტიკის ინტერესები“ — თქვა ბებეამ.

საინტერესოა, რომ ფრანგებს ისტორიის განმეორებაც სურთ. მოგეხსენებათ, თანამედროვე ოლიმპიადებმა სათავე ათენიდან აიღო 1896 წელს, ხოლო II ოლიმპიურ თამაშებს კუბერტენის საპატივცემულოდ 1900 წელს პარიზმა უმასპინძლა.

ასე რომ, 2004 წლის ათენის ოლიმპიადის შემდეგ 2008 წლისთვის თუ პარიზსაც ასეთი პატივი ხვდება, მაშინ, გარკვეულწილად ისტორიული სიმეტრიაც დაცული იქნება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრს საუბრობენ ოლიმპიადების კონტინენტიდან კონტინენტზე მონაცვლეობის თაობაზე, ორგანიზატორები სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი აცხადებენ, რომ საფუძველს მოკლებულია ისეთი მოსაზრება, თითქოს ოლიმპიური თამაშების ზედიზედ ერთ კონტინენტზე გამართვა დაუშვებელიაო.

„ამგვარ არგუმენტს არანაირი საფუძველი არ გააჩნია. ჩვენი მიზანია დაგანახოთ ის, რომ პარიზი სპორტსმენებისა და საზოგადოებისთვის ყველაზე ხელსაყრელი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ათენია“ — განმარტა ბებეამ.

ფრანგები იმდენად არიან საკუთარ თავში დარწმუნებულნი, რომ სოკ-ის კომისართა დასახვედრად „პარიზი 2008“-ს სარეკლამო ფირნიშებზეც კი უარი თქვეს.

„ჩვენ ელისეს მინდვრებს დროშებით არ ავაჭრელებთ, განსაკუთრებით კი კომისიის წევრთათვის. მათ უნდა იცოდნენ, რომ აქ ამის საჭიროება არაა“ — თქვა საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა.

ასეა თუ ისე, პარიზს ოლიმპიადა სურს. ორგანიზატორებმა ამისთვის ეროვნული სარეკლამო კამპანიაც გააჩაღეს. ისინი პარიზელებს საფრანგეთის დედაქალაქის მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ: „ახლა თქვენი დროა, რათა საფრანგეთმა გაიმარჯვოს“.

შესაგულიანებლად ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებზეც მიუთითებენ. მათ საფრანგეთს მსოფლიოს თასი და დიდება მოუტანეს, ახლა კი პარიზელებმა სამაგიერო უნდა გადაიხადონ.

სხვათა შორის, ერთ-ერთმა ინტერნეტ საიტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად პარიზელთა ახლანდელი სამზადისი სინამდვილეში 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის თადარიგის დაჭერას ისახავს მიზნად.

ასეთ მოსაზრებას ორგანიზატორებმა სისულელე უწოდეს, რადგან არცერთი ჭკუათმყოფელი მილიონებს არ დახარჯავს წინასწარ მხოლოდ იმისთვის, რომ ეგრეთ წოდებული გენერალური რეპეტიცია გაიაროსო. თუმცა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თუ ოლიმპიადების კონტინენტიდან კონტინენტზე მონაცვლეობის საკითხი ევროპელთა საპირისპიროდ გადაწყდა, მაშინ, მათი თქმით, 2012 წლისთვის საფრანგების დედაქალაქი ყველა მეტოქეს შლიგინ-შლიგინით და დიდი უპირატესობით მოიტოვებს. მიუხედავად ამისა, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ პარიზი ახლანდელი მეტოქეების წინააღმდეგ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

გიგა გურასაშვილი

საუკეთესო თავდაცვა

კი ბისკეინი (აშშ). „ერიქსონის თასი“ საპრიზო 6,12 მილიონი $

ძალები

რიჩარდ უილიამსს საკუთარი ორმეტრიანი პერსონისადმი ყურადღების მიპყრობა თავის ვარსკვლავ ქალიშვილებზე არანაკლებ ეხერხება. შავი კლანის მამა-ბატონს წარსულში უიმბლდონის კომენტატორთა ჯიხურის სახურავსა და „ფლაშინგ მედოუზის“ ცენტრალურ კორტზე ცუნდრუკით, ასევე არაერთი უაზრო განცხადებით, გამოუჩენია თავი. ამჯერად რიჩარდი ყურადღების ცენტრში „USA TODAY“-სთვის მიცემული ინტერვიუს შემდეგ მოექცა, რომელშიც ჩოგბურთის ქომაგებს, ჟურნალისტებსა და თავად მოთამაშეებსაც დაესხა თავს.

უილიამსს „მარტის სიგიჟემ“ ინდიან უელსის პირველობის ფინალის შემდეგ წამოუარა, როცა მაყურებელმა მისი უმცროსი ქალიშვილის მიმართ აგრესია გამოავლინეს. ტრიბუნებზე მოკალთებულები მაშინ იმან აღაშფოთა, რომ უფროსმა დაიკომ ნახევარფინალური მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სერენასთან თამაში ვიზომდა ტრავმის გამო იუარა და ისინი პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა. ქომაგებმა ორი დღის შემდეგ ბოღმა სერენაზე გადმოანთხიეს და მთელი მატჩის მანძილზე უსტვენდნენ, მის შეცდომებს კი ტაშით ხვდებოდნენ.

„როდესაც მე და ვინუსი ჩვენს ადგილებზე დასაჯდომად მივემართებოდით, ხალხი „ნიგერს“ მეძახდა. ერთმა კაცმა სულაც მითხრა, სხვა დრო იყოს, ცოცხლად გაგაძრობდი ტყავსო. მისკენ გავემართე, მაგრამ მერე გადავიფიქრე, არ მინდოდა, ყველაფერი ძალადობით დასრულებულიყო. იმ დღეს ცრემლებს ძლივს ვიკავებდი, ამერიკას უნდა რცხვენოდეს იმის, რაც ინდიან უელსში მოხდა“ — აღნიშნა რიჩარდმა, რომელმაც მატჩის დროს ტრიბუნებზე მყოფნი მუშტების ღერებით კიდევ უფრო გააღიზიანა.

უფროს უილიამსს არც ის ბრალდებები დავიწყებია, რომელთა თანახმადაც ქალიშვილების შეხვედრის ბედს სწორედ ის წყვეტს და შარშან უიმბლდონზე სერენას წაგება უბრძანა, ახლა ვინუსის ჯერია, დიდი სლემის ტურნირი მოიგოსო: „მასმედია ცდილობს, დაამციროს ჩემი გოგონების დამსახურებები და ჩვენს ოჯახს ჩრდილი მიაყენოს. უიმბლდონზე დამარცხების შემდეგ სერენა იმიტომ ტიროდა, რომ ვერ იტანს წაგებას, მე აქ არაფერ შუაში ვიყავი“.

ბოლოს რიჩარდი ჩოგბურთელებსაც მიადგა: „გასახდელში ყველა გოგოს სურს, ჩვენს ადგილზე იყოს. შური საშინელი რამ არის, ის მთლიანად იმორჩილებს ადამიანის გრძნობასა და გონებას“.

უფროსი უილიამსის ინტერვიუს შემდეგ კი ბისკეინში ჩოგბურთი არავის გახსენებია. მატჩების ცქერის ნაცვლად ჟურნალისტები გამწარებულნი დაეძებნენ სკანდალის მთავარ გმირს და სტადიონის ტერიტორიაზე ამაყად მოსეირნე რიჩარდის ირგვლივ ბუზებივით ირეოდნენ.

სერენას მეტოქე მერვედფინალში ისევ ინდიან უელსის ფინალისტი კიმ კლაისტერსი იყო, თუმცა ამჯერად ყველაფერი სტვენა-ღრიანცელის გარეშე და გაცილებით სწრაფად დასრულდა — უმცროსმა უილიამსმა 43 წუთში, 6:0, 6:2 გაანადგურა ბელგიელი და პრესკონფერენციაზე უფრო მძიმე ბრძოლისთვის გამზადებული გამოცხადდა.

სერენამ პროფესიონალურად აიცილა თავიდან რასიზმის შესახებ საუბარი, მამაჩემის ინტერვიუ არ წამიკითხავს და ვერაფერს გეტყვითო, თუმცა ამავდროულად ეს უკანასკნელი კბილებითაც დაიცვა: „მამას ყოველთვის დავუჭერ მხარს, ის ჩვეულებრივ(!) ძალიან სამართლიანი პიროვნებაა, კარგად ესმის, რა არის უკეთესი ჩემთვისა და ვინუსისთვის და როგორ უნდა მოიქცეს. ცუდია, რომ უილიამსები ყოველთვის რაღაც სკანდალში არიან გახვეულნი“.

ვინუსს გაცილებით გაუჭირდა. ჯანიანმა იტალიელმა ტატიანა გარბინმა მასთან შეხვედრაში კოჭი დაიზიანა, მაგრამ ამერიკელს ორ საათზე მეტხანს გაუძალიანდა, 9 მატჩ-პოინტი გადაარჩინა და 5:7, 6:7 (2:7) წააგო.

„დღეს ძალას ვერ ვზომავდი, მეტისმეტად ძლიერად ვურტყამდი ბურთებს და სულ აუტში ვგზავნიდი“ — დაიწყო ვინუსმა, თუმცა მისი ცუდი თამაშის მიზეზით თითქმის არავინ დაინტერესებულა და სიტყვა მალე რიჩარდის განცხადებებზე ჩამოვარდა. მსგავს საქმეებში გამოწრთობილმა უილიამსმა დაზე არანაკლები მოხერხებულობა გამოიჩინა: „მე აქ მხოლოდ იმისთვის ვარ, რომ ჩოგბურთი ვითამაშო და ამითაც ბედნიერი ვარ. მაგრამ არა მგონია, რასიზმის ბრალდება თითიდან გამოწოვილი იყოს. მამაჩემისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, მისი აზრი მოესმინათ“.

ჯერჯერობით უილიამსების კოლეგებისგან კომენტარი მხოლოდ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა გააკეთა: „საუბარი რასიზმის შესახებ სრული სისულელეა. ჩემთვის სულერთია, ვინ არის ბადის მეორე მხარეს, ყველას პატივს ვცემ. რიჩარდი ძალიან ბევრს იტყუება, არ ვიცი, მისი გოგოები რას ფიქრობენ ამაზე. შეიძლება კანის შავი ფერი გარკვეულ უპირატესობასაც ანიჭებთ მათ, მაგალითად ყოველთვის შეუძლიათ, სხვები რასიზმში დაადანაშაულონ“.

იმავე ჰინგისს 1999-ში „როლან გაროსის“ ფინალში ტუტუცური გამოხტომების გამო სერენაზე არანაკლებ მოხვდა, თუმცა საკუთარი თავის გარდა შარი მართლაც ვერავის მოსდო.

ჰო, მეოთხედფინალის საგზური მარტინამ მაუი სერნას 6:3, 6:4 დამარცხებით მოიპოვა.

მერვედფინალი: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — სანდრინ ტესტუ (13, საფრანგეთი) 6:3, 6:1; ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (19, ტაილანდი) 6:4, 6:0; ირინა დეკიჩი (21, ავსტრალია) — ამანდა კუტცერი (6, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 7:5; ირინა დევენტიევა (7, რუსეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (9, ესპანეთი) 6:1, 6:2; ანკე ჰუბერი (10, გერმანია) — ნატალი ტოზია (8, საფრანგეთი) 2:6, 6:4, 6:4

ვაძლები

ისევ ვერ გადალახა მასტერსის სერიის ტურნირის მესამე წრე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გუსტავო კუერტენმა. „გუგა“ ამჯერად შვედმა ტომას იოჰანსონმა გაამწარა, რომელმაც ორიოდ კვირის წინ კლასიფიკაციით მეორე მარატ საფინსაც შავი დღე აყარა.

4:5-ზე გადამწყვეტ ხელში ანგარიშის გათანაბრების შანსი ბრაზილიელმა ორმაგი შეცდომით გაუშვა ხელიდან. იოჰანსონმა საჩუქარი შეირგო და ოთხი ქულის შემდეგ მატჩს წერტილი აუღებელი ფორჰენდით დაუსვა — 6:3, 4:6, 6:4.

„ბობოლებთან შეხვედრა ყოველთვის მსიამოვნებს. მთელი ზეწოლა მათზეა, ქაღალდზე სწორედ ისინი არიან ვალდებულნი, მოიგონ, მე კი ვცდილობ, კორტზე გავერთო“ — ასე ახსნა თავისი წარმატების საიდუმლო შვედმა.

მესამე წრე: ანდრე აგასი (3, აშშ) — დევიდ პრინოშილი (30, გერმანია) 6:1, 6:3; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — მაგნუს ნორმანი (6, შვედეთი) 7:6 (7:5), 6:2; პატრიკ რაფტერი (8, ავსტრალია) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:3; ალეხეს პორეიზა (10, ესპანეთი) — ფერომ გოლმარი (საფრანგეთი) 7:6 (7:1), 7:6 (8:6); კარლოს მოია (22, ესპანეთი) — არნო კლემანი (11, საფრანგეთი) 6:4, 0:6, 6:4; ტომი ჰაასი (23, გერმანია) — დომინიკ ჰრბატი (13, სლოვაკეთი) 6:7 (4:7), 6:0, 6:3; როჯერ ფედერერი (24, შვეიცარია) — მარკ ფილიპუსისი (16, ავსტრალია) 3:6, 7:6 (7:4), 6:2

ავთანდილ სვანიძე

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

კაროლინა არსენაა

26 მარტი

კაროლინა 2:4 მონრეალი (0:2 1:0 1:2)

0:1 ბრისებუა 9(13), 0:2 დარბი 13(11), 1:2 ფილინა 39(22), 1:3 ბრისებუა 42(14), 2:3 კაპანენი 51(19), 2:4 რუჩინსკი 60(14)

ატლანტა 0:4 გუფალო (0:2 0:2 0:0)

0:1 ოდეტი 19(33), 0:2 ფოტნიკი 20(6), 0:3 შატანი 27(25), 0:4 შატანი 39(26)

ოტავა 3:3 ფილადელფია (0:1 2:1 1:1 0:0)

0:1 მანდერვილი 5(4), 1:1 ალფრედსონი 21(23), 1:2 რაჩუნეკი 28(3), 2:2 რანბაიმი 35(9), 3:2 უილიამსი 44(12), 3:3 იაშინი 54(35)

ედმონტონი 4:2 კოლუმბუსი (1:1 2:1 1:0)

0:1 ვიბორნი 5(13), 1:1 გრირი 9(17), 1:2 ოდელეინი 24(3), 2:2 ბრიუერი 34(6), 3:2 ვლირი 38(14), 4:2 კარტერი 60(16)

ლოს ანჯელესი 0:0 სან ხოსე

ამაოდ უმეორებდა კაროლინას თავკაცი პოლ მორისი ყოველ ვარჯიშზე თავის შეგირდებს, თუ პლეი ოფში გასვლა გვინდა, სუსტ და ფინალში თამაშის იმედგადაწურულ გუნდებთან ასაღები ქულები არ უნდა დავკარგოთო. მისი სიტყვები არავინ იღო ყურად. არადა, კაროლინას საქმე კარგად მიდიოდა და ბოლო მატჩებში საკმაოდ რთულ მეტოქეებთან შეძლო ქულათა მარაგის შევსება. მათთან შედარებით ერთ დროს სახელოვანი, მაგრამ ახლა მაჩანჩალა მონრეალი სახსენებელიც არ იყო და, ალბათ, სწორედ ამან დაამშვიდა ზოგიერთი კაროლინელი. კანადურ კლუბთან საპაექროდ ყინულზე არა ერთ მუშტად შეკრული გუნდი, არამედ იოლი გასეირნების მომლოდინე 19-კაციანი შემადგენლობა გავიდა. სამართლიანად ბრაზობდა მატჩის შემდეგ „ქარიშხალთა“ მწვრთნელი მორისი და მართლაც, სანამ მასპინძლები ასეთ განწყობაზე იყვნენ, მონრეალმა ორი შაიბა შეაგდო, თანაც ორივე კაროლინელთა ბავშვური შეცდომების შედეგად. განსაკუთრებით სამარცხვინო მეორე გოლი გამოდგა, როდესაც კარის სიახლოვეს მყოფ კრეიგ დარბის ვერც ერთმა კაროლინელმა ვერ შეუშალა ხელი დარტყმის განხორციელებაში. მართალია, ამის შემდეგ მასპინძლები გამოფხიზლდნენ, თამაშიც მეტწილად მეტოქის ზონაში გადაიტანეს, მაგრამ ის საბრძოლო ჟინი, რომელიც ახასიათებთ, ნამდვილად აკლდათ. ამ უნიათო მარცხით კაროლინამ კონკურენტი ბოსტონი გაახარა, რომელიც ცოტაც და პლეი ოფში გასვლის იმედს დაკარგავდა.

დედლაინზე ატლანტიდან ბუფალოში გადასული დონალდ ოდეტი, ეტყობა, თავის ყოფილ გუნდთან პაექრობას ელოდა, რათა „ხმლების“ რიგებში პირადი ანგარიში გაეხსნა. უკვე ნათამაშევ ოთხ მატჩში აწ უკვე ბუფალოელს უამრავი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ბედი არ სწყალობდა. სამაგიეროდ, ძველ პარტნიორებთან შეხვედრამ სასიკეთოდ იმოქმედა სნაიპერზე, რომელიც წლეულს კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. მან პირველივე პერიოდში დააწინაურა თავისიანები — ცალ მუხლზე დაჩოქილმა მაინც შეძლო მოულოდნელი დარტყმის განხორციელება. როგორც გაირკვა, ეს გოლი სავსებით საკმარისი გამოდგა მოგებისთვის, რადგან მასპინძლებმა პრაქტიკულად ვერ დაასაქმეს დომინიკ ჰაშეკი (19 მოგერიება) და სახელოვანი ჩეხი 10 შათაუტით კვლავ გაუძღვა ლიგის მეკარეთა სიას.

ტემუ სელიანე კი ვერაფრით ახარებს ახალ ქომაგებს. აგერ უკვე მეხუთე მატჩია, მას გოლი ვერ გააქვს. არადა, ლოს ანჯელესთან ოვერტაიმის პირველივე წუთზე ანაჰაიმიდან სან ხოსეში გადასულ ფინელს შეეძლო, ანგარიში გაეხსნა და მატჩის ბედი გადაეწყვიტა კიდეც, თუმც მისი გარღვევა „მეფეთა“ მეკარე ფელიქს პოტვინმა გააუვნებლა. ძირითად დროში კი ლოს ანჯელესი უფრო ახლოს იყო მიზანთან, „ზვიგენების“ გოლკიპერმაც იყოჩაღა — ახალბედა ევგენი ნაბოკოვმა (27 მოგერიება) მე-5 შათაუტით კლუბის რეკორდი გაიმეორა.

უკვე მეორე თამაშია, ფილადელფია სრული შემადგენლობით გადის ყინულზე. ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ გამოჯანმრთელდნენ ჯონ ლეკლერი და სიმონ განიე, თუმც გუნდი ორ მატჩში მხოლოდ ქულას დასჯერდა. მართალია, განიეს დახმარებით ჯასტინ უილიამსმა სტუმრები დააწინაურა, მაგრამ დარჩენილ დროში ოტავამ ლიდერ ალექსეი იაშინის ძალისხმევით შეძლო გათანაბრება და აღმოსავლეთში პირველმა დალაშქრა 100-ქულიანი ზღვარი.

ბოლოს ტრადიციულად უქმეების მოვლენებზე ვთქვათ, მით უმეტეს, რომ სათქმელი ბევრია. ნიუ ჯერსის ბრწყინვალე სერია მე-14 თამაშზე დასრულდა. ზედიზედ 13 მატჩის მოგების შემდეგ (გუნდის ახალი რეკორდი) „ეშმაკები“ ლიგის ყველა დროის რეკორდის მფლობელ პიტსბურგს შეეჯახნენ, რომლის 1993 წლის სერიაც 17 შეხვედრას ითვლის. ცხადია, „პინგვინებმა“ ძალ-ღონე არ დაიშურეს კონკურენტის გასაწბილებლად. რობერტ ლანგის სამეულმა ოთხივე გოლი მიითვალა, არბიტრთან შეკამათების გამო სამი მატჩით დისკვალიფიცირებული ალექსეი კოვალიოვიც ღირსეულად შეცვალა მისმა თანამემამულე და სეხნია მოროზოვმა და პიტსბურგმა 4:2 გაიმარჯვა.

ფლორიდელმა პაველ ბურემ შარშან კლუბის რეკორდები დაამყარა, წლეულს კი მათ განახლებას შეუდგა. ზედიზედ მეშვიდე თამაშში გატანილი გოლების ხარჯზე მას 11 მატჩში 21(14 გოლი, 7 პასი) ქულა მოუგროვდა, თანაც რიცხვმრავლობაში 22-ე შაიბა მიითვალა. სამივე გუნდის ახალი რეკორდი გახლავთ, ხოლო თავად ბურეს ანგარიშზე მთლიანად უკვე 58 გოლია, რითაც „რუსულმა რაკეტამ“ თავისი შარშანდელი მიღწევა გაიმეორა და ცხადია, არც გაუმჯობესება გაუჭირდა.

7 თამაშია, უქულოდ არ ტოვებს ყინულს დეტროიტის მცველი ნიკლას ლიდსტრიომი, კოლუმბუსის ნორვეგიელმა პლეიმეიკერმა ესპენ ნუტსენმა კი კალგარისთან შეხვერაში 5 პასით საკლუბო რეკორდი დაამყარა.

მეტად ამაღელვებელი გამოდგა რეი ბურკის ბოსტონში ჩასვლა. „დათვების“ რიგებიდან შარშან წასული ჰოკეისტი პირველად წარდგა ყოფილი ქომაგების წინაშე. მათ სახელოვანი მცველი ერთობ გულთბილად მიიღეს, რამაც 40 წლის ვეტერანს, ცოტა არ იყოს, გულიც აუჩუყა, მაგრამ ამან საქმის კეთებაში ხელი ვერ შეუშალა — მისი ორი პასის დახმარებით კოლორადო უკვე მე-6 წუთზე 3:0 დაწინაურდა და ცხადია, მოიგო კიდეც.

საბელ ლარიბიანი

REUTERS ოტავიდან

ოტავა — ფილადელფია. დანიელ ალფრედსონმა ფილადელფიელი მეკარის, რომან ჩეხმანეკის წინ შეიკუნტრუშა

კვირის მოთამაშე



ჯო საკიკი (კოლორადო)

ჯო საკიკი ბრწყინვალედ, შეუდარებლად ატარებს ამ სეზონს. იგი ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშისთვის განკუთვნილი „ჰართ ტროფის“ უმთავრესი პრეტენდენტია. აქამდე მას წმინდა წყლის მეგოლედ და პლეიმეიკერად არავინ მიიჩნევდა, ახლა კი ამ საქმის ჩინებულ ოსტატ იარომირ იაგრს ეცილება ბომბარდირთა დავაში. მეტიც, გასულ კვირას ჩეხმა ტემპი ოდნავ შეანელა და კოლორადოელმა ამით უმალ ისარგებლა — კვლავ პირველ საფეხურზე აღზევდა 108 ქულით. ეს მისი მეხუთე 100-ქულიანი სეზონია. გასულ კვირას ჯო საკიკმა 8(3 გოლი, 5 პასი) ქულა დააგროვა. ორჯერ მან 3(1 გოლი, 2 პასი) ქულიანი თამაში გამართა, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა (4:1 სან ხოსესთან, 3:1 სენტ ლუისთან), კვირა კი ბოსტონთან შეხვედრაში (4:2) გოლით და პასით დაასრულა და ეს მაშინ, როცა გუნდს სამი ლიდერი არ ჰყავდა — მეკარე პატრიკ რუა და მცველები: რობ ბლეიკი და ადამ ფუტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ წლეულს საკიკს კონტრაქტის ვადა (სამწლიანი და 21 მილიონი დოლარი) უსრულდება, ზაფხულში კოლორადოს მის შესანარჩუნებლად ბლომად ფულის გადახდა. მოუწევს.

საუკეთესო ეძებსეული.

ტომაშ ვოკოუნი (ნეშვილი, 1); ელ მაკინისი (სენტ ლუისი, 2) — ბრაიან რაფალსკი (ნიუ ჯერსი, 1); ჯო საკიკი (კოლორადო, 6) — ბრეტ ჰალი (დალასი, 2) — რაიან სმიტი (ედმონტონი, 1)

REUTERS ჰოლივუდიდან

ლეილა და ჯეკი

განთქმულ მოკრივეთა ახუნტრუცებულმა ქალშვილებმა ჯეკი ერე ზერმა და ლეილა ალიმ მამათა ხელთათმანები რომ მოირგეს, შოუ ბიზნესში გვარიანი სახელიც გაიგდეს და კვირა არ გაივლის სადმე არ გამოჩნდნენ. აი, ჰოლივუდშიც მისულან განთქმული კომპიუტერული თამაშის „ჰოკემონ სთედიუმ ორის“ პრეზენტაციაზე. მაგრამ ჯეკისა და ლეილას მთავარი მაინც წინა აქვთ, ივნისში, ეგრეთწოდებულ „მამის დღეს“ ერთმანეთს უნდა ეკრივონ და მამათა ძველი ჯახი გაახსენონ ხალხს.

REUTERS კატმანდუდან

ბობი ნაითი კვლავ მწვრთნელია

ამერიკის სტუდენტური კალათბურთის ლეგენდა-მწვრთნელი ბობი ნაითი, რომელსაც ბოლო ხანს დიდი სკანდალი გადახდა ინდიანას უნივერსიტეტში, მოთამაშის გინებისა და ხელობაზე გულის აცრუების გამო დაითხოვეს. მაგრამ, აბა, ბობი ნაითს (მარცხნივ) უსაქმოდ ვინ დატოვებდა. სამთვიანი უმუშევრობის შემდეგ გიუმაჟმა და უბერებელმა ბობმა მიწვევა მიიღო ტეხასის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორ დევიდ შმიდლისაგან (მარჯვნივ) და რა თქმა უნდა, დათანხმდა. რექტორიცა და მწვრთნელიც ერთად გამოსულან განთქმულ ლარი კინგის შოუში და მათი ფოტოც ამ შოუს დროსაა გადაღებული.

REUTERS ჰოლივუდიდან

აი, კაცი!

კატმანდუში ჩასულა 33 წლის ამერიკელი მთამსვლელი ერიკ ვეინმეიერი, რომელიც ევერესტის დაპყრობას აპირებს. სასტუმრო „ნეპალის“ ნომერში თავშეყრილ ჟურნალისტებს ერიკი იმ საგანგებო მოწყობილობას უჩვენებს, სამყაროს უმაღლეს წერტილამდე მისაღწევად რომ სჭირდება. მთელს ამ ამბავში უჩვეულო და ნაღდად გმირული ის არის, რომ მთამსვლელი ბრმაა.

REUTERS ბრიუსელიდან

კიდევ ერთი

ბრიუსელში გაცხადდა ერთი მნიშვნელოვანი ოლიმპიური ამბავი: ეკაური ქირურგი და სპორტული ორგანიზაციის ექიმი როგი (მარცხნივ) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი იქნება. საქმისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე დოქტორ როგს მხარს წარსულის უდიადესი ველოსიპედისტი ედი მერქსი უმშვენებდა. ივლისში დასრულდება ხუან ანტონიო სამარანჩის ნაყოფიერი ოლიმპიური მმართველობა, როგთან ერთად კი პრეზიდენტობა კანადელ ვექილ დიკ პაუნდსა და სამხრეთკორეელ კიმ უნიანგს სურთ.



REUTERS ბეიჯინიდან

პირველი

ესეც მოხდა: ჩინელი გოლიათი ვან ჟიჟი ამერიკას მიემგზავრება. მაინც კომუნისტური ჩინეთის სპორტის მოხელენი დიდხანს უშლიდნენ ხელს 216 სანტიმეტრის სიმაღლის მოთამაშეს ნამდვილ საკალათბურთო მხარეში გადაბარგებას, მაგრამ ბოლოს მაინც გაუშვეს. სულ მალე ენბიეიში პირველი ჩინელი გამოჩნდება, „დალას მავრიქსის“ ცენტრი ვან ჟიჟი.

ვითომ ჯანიანი

ვანკუვერში, სადაც კოხტა შოუთი გასრულდა ფიგურული ციგურაობის მსოფლიოს ჩემპიონატი, საჩვენებელ გამოსვლათა საღამოს დიდი მხიარულობა იყო. კაცთა შორის ჩემპიონმა ევგენი პლუშჩენკომ კულტურისტის იერის კოსტუმი მოირგო და ხალხი დიდად ახალისა.



REUTERS ვანკუვერიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავთ გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge